

1.ა) სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების სფერო (ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები)

სამართალი ორ ნაწილად იყოფა - კერძო და საჯარო სამართლად.

კერძო სამართალი, რომელიც ეფუძნება პირთა თანასწორობას და კერძო პირთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს აგვარებს. მის ფუნდამენტს წარმოადგენს **კერძო ავტონომია და საკუთრების უფლება**. კერძოსამართლებრივი ურთიერთობებია: ნასყიდობა, ჩუქება, ქირავნობა, ქორწინება, ანდერძი და ა.შ.

საჯარო სამართალი არის სახელმწიფოსათვის დაწერილი სამართალი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო და მისი ორგანოები კონსტიტუციითა და სხვა კანონებით დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ. ასეთია სამშენებლო ნებართვებისა და სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიების გაცემა, ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრება, სამართალდამრღვევთა დაკავება და ა.შ.

მიუხედავად ასეთი გამიჯვნისა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სამართალშიც გვხვდება **სუბორდინაციული ურთიერთობები** და საჯარო სამართალში **პირთა თანასწორობაზე** დაფუძნებული ურთიერთობები.

სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

პირთა თანასწორობა გულისხმობს თავისუფალი ნების გამოვლენას. შეიძლება ითქვას, რომ იგი კერძო ავტონომიის სინონიმია.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ კერძო პირებს, ინდივიდებს შორის.

სამოქალაქოსამართლერივ ურთიერთობათა უმეტესობა ქონებრივი ხასიათისაა. **ქონებრივი ურთიერთობა** დაკავშირებულია ქონებრივ სიკეთეებთან, მიუხედავად იმისა, მატერიალური იქნება ის თუ არამატერიალური.

საოჯახო ურთიერთობები შეიძლება იყოს პირადიც და ქონებრივაც.

პირად ურთიერთობებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სახელის, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და ა.შ დაცვა.

ბ) ფიზიკურ პირთა შეზღუდული ქმედუნარიანობა

ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანობა დაკავშირებულია ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. სსკ-ს მე-14 მუხლის თანახმად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი. ასევე, სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლო მზრუნველს დაუწესებს. ასეთი პირი ქმედუნარიანობით უთანაბრდება არასრულწლოვანს. მზრუნველს უწესებენ ჰკუასუსტებსა და სულით ავადმოყოფებს. ასევე ის შეიძლება დაენიშნოს პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აგდებს ოჯახს. ასეთ შემთხვევაში პირს მხოლოდ მზრუნველის თანხმობით შეუძლია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, განკარგოს ხელფასი, პენსია თუ სხვა შემოსავლები.

შეზღუდული ქმედუნარიანობის დროს აუცილებელია წარმომადგენლის თანხმობა გარიგების დასადებად. ამის მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევებში პირი უფლებამოსილია დამოუკიდებლად დადოს გარიგებები.

ეს მას მნიშვნელოვნად განასხვავებს ქმედუნარო პირისაგან. მე-15 და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ მოითხოვს წარმომადგენლის თანხმობას. ხოლო სარგებლის მომტანია თუ არა, ეს უნდა გადაწყვიტოს კანონიერმა წარმომადგენელმა. სარგებლის მომტანად მიიჩნევა ჩუქება და უპატრონო ნივთის მითვისება, ხოლო ორმხრივი ხელშეკრულებები არ არის სარგებლის მომტანი.

არასრულწლოვანის მიერ დადებულ ნამდვილ გარიგებათა ჯგუფს მიეკუთვნება გარიგებები, რომელთა დასადებადაც, არასრულწლოვანმა განკარგა ის საშუალებები, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან მათი თანხმობით მესამე პირებმა ამ მიზნით ან თავისუფალი განკარგვისთვის.

არასრულწლოვნის მიერ დადებულ ყველა სხვა გარიგებას სჭირდება კანონიერი წამომადგენლის წინასწარი თახმობა. გამონაკლისია 65-ე მუხლით გათვალისწინებული ემანსიპაციის შემთხვევა.

სხვა გარიგებები, რომლებსაც დადებს არასრულწლოვანი მიიჩნევა მერყევად ბათილად და ნამდვილი გახდება მხოლოდ მაშინ თუ კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს. მერყევად ბათილ გარიგებაზე უარის თქმის უფლება აქვს მეორე მხარეს. ასევე, ის უფლებამოსილია უარი თქვას მასნაც, თუ იცოდა პირის არასრულწლოვნების შესახებ, მაგრამ იგი ატყუებდა, რომ კანონიერი წარმომადგენელისაგან მიღებული ჰქონდა თანხობა.

2. ა) კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა

კერძო და საჯარო სამართალი ერთმანეთისაგან ბოლომდე იზოლირებულნი არ არიან.

მათი გამიჯვნა ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

პრაქტიკული მნიშვნელობა ორ ძირითად ასპექტში ვლინდება: ა) რომელი სამართლის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში.

ბ) რომელმა სასამართლომ, ადმინისტრაციულმა თუ სამოქალაქომ, უნდა განიხილოს აღნიშნული დავა.

კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრობლემამ სხვადასხვა თეორიები წარმოშვა. ყველაზე გავრცელებულია ინტერესების, სუბროდინაციისა და სუბიექტების თეორიები.

ინტერესების თეორიის მიხედვით, მთავარია ის, ვისი ინტერესებია უპირატესი სამართლებრივი რეგულირებისას: კერძო თუ საჯარო პირის. თუმცა ამ თეორიამ კრიტიკა დაიმსახურა, რადგანაც ხშირად კერძო და საჯარო პირები ერთმანეთის ინტერესების განხორციელებას ემსახურებიან.

სუბროდინაციის თეორიის თანახმად, საჯარო სამართალს ახასიათებს ურთიერთდაქვემდებარება ურთიერთობებში, ხოლო კერძო სამართალი პირთა თანასწორობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს აწესრიგებს. ამ თეორიის

ნაკლად მიიჩნევა ის, რომ სრულიად აიგნორებს საჯარო-სახელმშეკრულებო სამართალს.

სუბიექტების თეორიის თანახმად, სამართლის დაყოფისას კერძო და საჯარო სამართლად, მნიშვნელოვანია სუბიექტთა სტატუსი ანუ ის, თუ რა უფლებამოსილებებით მონაწილეობს იგი ამა თუ იმ ურთიერთობაში. სუბიექტების თეორიიდან განვითარდა **სპეციალური სამართლის თეორია**, რომლის თანახმადაც, საჯარო სამართალი არის სახელმწიფოს სპეციალური სამართალი, ხოლო კერძო სამართალი ზოგადი სამართალი ყველასთვის.

ბ)ასაკისა და ჯანმრთელობის გამო ქმედუუნარო პირები

ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანობა დაკავშირებულია ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. 7 წლამდე მცირეწლოვნები მიიჩნევიან ქმედუუნაროებად, 7-დან 18 წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებად, ხოლო 18 წლიდან პირი სრული ქმედუნარიანობის მქონე ხდება. ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის შეზღუდვის დროს უნდა აღინიშნოს ემანსიპაციაც. იგი ორ შემთხვევაში ხდება. პირველი შემთხვევაა, როცა 16 წლის პირი ქორწინდება, ხოლო მეორე, როდესაც 16 წლის პირს კანონიერი წარმომადგენელი მიანდობს საწარმოს მართვას.

ქმედუნარიანობა შეიძლება შეიზღუდოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოც. თუ სრულწლოვან პირს სასამართლოს დაუწესებს მზრუნველს, მისი ქმედუნარიანობა იზღუდება და უთანაბრდება არასრულწლოვანს. მზრუნველი ენიშნებათ სულიერად ავადმყოფებსა და ჭკუასუსტებს. ასევე, შეიძლება მზრუნველი დაენიშნოს პირს, რომელიც ბოროტად მოიხმარს ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებს და ამით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ოჯახის წევრებს. ასეთ შემთხვევაში პირს შეუძლია დადოს ქონების ანკარგვის გარიგება, განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავლები მხოლოდ მზრუნველის თანხმობით.

ქმედუნარიანობის შეზღუდვისას პირს გარიგების დადების უფლება აქვს მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება მისთვის სარგებლის მომტანია. ხოლო სარგებლის მომტანად შეიძლება ჩაითვალოს ჩუქება, უპატრონო ნივთზე დაუფლება. ორმხრივი გარიგებები არ მიიჩნევა სარგებლის მომტანად, რადგან უფლებებთან ერთად წარმოშობს მოვალეობებსაც.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს გარიგების დადება შეუძლია მაშინაც, თუ მის დასადებად განკარგავს იმ საშუალებებს, რაც გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან მათი თანხმობით მესამე პირებმა ამ მიზნით ან თავისუფალი განკარგვისთვის.

ყველა სხვა გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის მოწონებაზე, ხოლო მანამდე მიიჩნევა მერყევად ბათილად. მერყევად ბათილ გარიგებაზე უარის თქმის უფლება აქვს მეორე მხარეს. მას ამის ულება აქვს მაშინაც, თუ იცოდა პირი სარასრულწლოვნების შესახებ, მაგრამ ის ატყუებდა, რომ კანონიერი წარმომადგენლისაგან მიღებული ჰქონდა თანხმობა.

3) ა) სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია საქართველოში

1997 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი. მისი შედგენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში პროფესორ სერგო ჯორბენაძის ხელმძღვანელობით დაიწყო, იუსტიციის სამინისტროს დიდი მხარდაჭერით მიმდინარეობდა და პარლამენტში ერთწლიანი განხილვის შემდეგ დასრულდა.

კოდექსი უნდა ყოფილიყო ის ხიდი, რომელიც საქართველოს დასავლეთ კულტურულ სახელმწიფოსთან დააკავშირებდა. სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელობა დიდია ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც კერძო საკუთრებას, სამეწარმეო საქმიანობას, ხელშეკრულების თავისუფლებას აღიარებს. შემთხვევით არ უწოდებენ მას ეკონომიკური ცხოვრების კონსტიტუციასაც, თუმცა მისი დანიშნულება მეტია, ვიდრე მხოლოდ ეკონომიკური ცხოვრების მოწყობა.

სამოქალაქო კოდექსის შექმნის აუცილებლობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც დაინახეს. ამ საქმეში ინიციატივა რუსეთმა აიღო ხელში და დსთ-ს სამოქალაქო კოდექსზე მუშაობა დაიწყო. კოდექსის შემუშავებასი მონაწილეობის მისაღებად საქართველოც მიიწვიეს.

ამავე დროს დაიწყო გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობაც, რომელსაც სათავეში ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი **როლფ კნაიპერი**

ედგა.

გერმანულად ითარგმნა კოდექსის გარკვეული ნაწილები და ექსპერტიზის საფუძველზე გერმანელი კოლეგების მიერ შემუშავდა კოდექსის ახალი ვარიანტი. ამ შრომას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ მრავალი ინსტიტუტი ქართული სამართლისათვის უცხო იყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ დაწერილა, როგორც გარდამავალი ეპოქის კანონი. იგი იქმნებოდა როგორც კანონი, რომელსაც წლებისათვის უნდა გაეძლო.

სამოქალაქო კოდექსმა ხელი შეუწყო საქართველოში ახალი თაობის იურისტთა გამოსვლას. მან სასამართლო პრაქტიკაზეც დიდი გავლენა მოახდინა.

სსკმ უარი თქვა საკუთრების ფორმებად დაყოფაზე, სრულად მოაწესრიგა იურიდიულ პირთა სტატუსი.

ბ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

პრეზუმცია ლათინური სიტყვაა და ვარაუდს ნიშნავს. პრეზუმციასას გარკვეული ფაქტი ივარაუდება დადასტურებულად და სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. პრეზუმცია შეიძლება ჩამოყალიბდეს არსებობს **ნეგატიურად და პოზიტიურად**. განსაზღვრულ შემთხვევებში სსკ მიმართავს პრეზუმციას და პირს აცხადებს გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცხადდება თუ, მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა თავის საცხოვრებელ ადგილას. ეს პირობები კუმულატიურია, ანუ ორივეს შესრულებაა აუცილებელი. უგზო-უკვლოდ აღიარებაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. ამ შემთხვევაში პირის კანონიერი მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას,

რომ მართონ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება მინდობილი საკუთრების სახით. ასევე, მათ აქვთ უფლება მიიღონ ქონებიდან სარგებელი და ვალდებულნი არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს მისცენ სარჩო, გადაიხადონ მისი ვალები.

გარდაცვლილად გამოცხადებაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება. ეს ხდება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში. კერძოდ: ა) თუ პირის საცხოვრებელ ადგილას 5 წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ბ) უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რაც უეჭველ სიკვდილს უქადდა. გ) სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და 6 თვის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ.

ასე, რომ კანონი აწესებს ვადას, რომლის გასვლის შემდეგაც შეიძლება პირის გამოცხადება გარდაცვლილად. ჩვეულებრივ ესაა 5 წელი. თუმცა არსებობს გამონაკლისები. პირველი, როცა სავარაუდოა პირის დაღუპვა უბედური შემთხვევის გამო. მაგალითად, მეწყერი, წყალდიდობა და ა.შ. ამ დროს საკმარისია 6 თვის გასვლა.

მეორე, საომარი მდგომარეობის დროს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვა. ამ დროს საკმარისია 2 წლის გასვლა.

პირის გარდაცვალების დღედ ითვლება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე, ხოლო უბედური შემთხვევის ან საომარი მოქმედების გამო გარდაცვლილად გამოცხადებისას -სავარაუდო დაღუპვის დღე. გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ იხსნება სამკვიდრო.

სსკ არეგულიერბს გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების საკითხს. მას უფლება აქვს მოითხოვოს შენარჩუნებული ქონება, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს, მათ შორის მემკვიდრეს. თუ მისი ქონება მესამე პირს აქვს შეძენილი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ეკისრება დაბრუნების ვალდებულება - თუ მან იცოდა პირის ცოცხლად ყოფნის შესახებ.

სახელმწიფოსადმი გადაცემული ქონების შემთხვევაში პირს უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების რეალიზაციის მიღებული თანხა. მნიშვნელოვანია

ქორწიების შემთხვევაც. მისი აღდგენა შესაძლებელია მეუღლეთა სურვილით, თუმცა ეს დაუშვებელია თუ ერთ-ერთი მათგანი ქორწინებაში იმყოფება.

4) ა) სამოქალაქო სამართლის წყაროები

სამოქალაქო სამართლის წყაროს ორი სახე არსებობს: **კანონი და ჩვეულება.**

კანონში იგულისხმება ნებისმიერი სახელმწიფო აქტი, რომელიც სამართლის ნორმებს შეიცავს. მას **ნორმატიული აქტი** ეწოდება, რადგან შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს. ნორმატიულ აქტთა ერთობლიობა ქმნის **პოზიტიურ სამართალს**.

ჩვეულებითი სამართალი წარმოიშობა მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი გამოყენებისა და ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრების შედეგად.

კანონი სამართლის უმთავრესი წყაროა. განსხვავდება კანონი ფორმალური და მატერიალური გაგებით. **ფორმალური** გაგებით კანონია პარლამენტის მიერ ან რეფერენდუმის შედეგად მიღებული აქტები .

მატერიალური გაგებით - ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს მიერაა მიღებული.

ჩვეულებები არ არის წერილობით გაფორმებული. ის ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ყალიბდება. ჩვეულება გამოიიყენება მაშინ , თუ იგი არ ეწინააღმდეგება სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. მისი ბევრი ნორმა საკანონმდებლო ნორმის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ჩვეულების არსებობის დადასტურება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის გამოყენებას.

ბ) შეცდომით დადებული გარიგებანი. შეცდომის სახეები.

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

არის შემთხვევები როდესაც გარიგების დადება ხდება შეცდომით. საკითხავია, რა უნდა მოხდეს ამ დროს : უნდა ჩაითვალოს თუ არა გარიგება ნამდვილად? სსკ-ს 72-ე მუხლის თანახმად შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. თუმცა , რა თქმა უნდა, არა ყველა შემთხვევაში. გარიგების საცილობას იწვევს მხოლოდ **არსებითი შეცდომა**.

სსკ გავძლევს არსებით შეცდომათა ამომწურავ ჩამონათვალს. პირველი შემთხვევაა **შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში**, ანუ როდესაც პირს სურდა სხვა გარიგების დადება და არა იმის , რომელიც დადო. მაგალითად, პირს სურდა მეგობრისათვის წიგნის თხოვება , მაგრამ ეს არ დააკონკრეტა და წიგნი ისე გადასცა, ხოლო მეორე მხარემ ჩათვალა რომ მას წიგნი აჩუქეს. შეიძლება შეცდომა მოხდეს ერთი გარიგების შიგნითაც. მაგალითად, პირს სურდა მეგობრისთვის ეჩუქებინა 50 ლარი, მაგრამ შემთხვევით კონვერტში 100 ლარი ჩადო.

შეცდომის მეორე სახეა **შეცდომა გარიგების შინაარსში**. ამ დროს პირს სურს იმ გარიგების დაება ,რომელიც დადო,თუმცა მისი აზრი არასწორად გაიგო. შეცდომის არსებობა კანონის განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს. ასეთი შემთხვევები ყველაზე ხშირად უკავშირდება უცხო ენის გამოყენებას.ასევე, ის ხდება მაშინ თუ გარიგების მხარე არასწორად იყენებს სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტს. მაგალითად , პირი ანდერძში ასახელებს „კანონით მემკვიდრეებს“ , თუმცა გულისხმობს არა კანონიერ მემკვიდრეებს , არამედ და-ძმას.

შეცდომის მესამე სახეა **შეცდომა გარიგების საფუძვლებში**. გარიგების საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარიგების მხარეთა ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ გარიგებას. თუმცა გარიგების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ გარემოებები არ არსებობდა ან სხვაგვარი ფორმით არსებობდა.

შეცდომის მეოთხე ფორმაა **შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში**. იმისათვის რომ ამ შემთხვევამ გარიგების ბათილობა გამოიწვიოს,საჭიროა **პიროვნების თვისებები ან თავად პიროვნება** იყოს გარიგების დადების საფუძველი. მაგალითად , თუ პირს სურდა ოპერაციის გაკეთება ცნობილ ექიმთან, მაგრამ აღმოაჩენს რომ ოპერცია მისმა ასისტენტმა გაუკეთა.

მეხუთე სახეს წარმოადგენს **შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში**. გარიგება ბათილდება, თუ ძირითადი თვისება საგნის ღირებულების განმსაზღვრელია. მაგალითად, თუ ფიროსმანის ნახატის ფასში მის ასლს გაყიდიან . საგნის ცნებაში მხოლოდ ნივთი არ იგულისხმება. ის შეიძლება იყოს უფლებები, მოთხოვნები და ყველა სიკეთე, რომელიც შეიძლება გახდეს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი.

შეცდომის მეექვსე სახეა **შეცდომა უფლებაში**. იგი არსებითი მნიშვნელობისად მიიჩნევა მაშინ, თუ გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი მიზეზი იყო. ამ შემთხვევაში პირი ცდებოდა და არ ეგონა , რომ მის ქმედებას ასეთი შედეგები მოჰყვებოდა. მაგალითად, პირი ყიდის სახლს და უთითებს რომ იგი იყიდება „მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით“. თუმცა არ იცოდა, რომ ამ სიტყვებში იგულისხმებოდა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრში ამ სახლის მიწის ნაკვეთად იყო რეგისტრირებული.

შეცდომის შემდეგი სახეა **შეცდომა გარიგების მოტივში**. თუმცა იგი გარიგების ბათილობას მხოლოდ მაშინ გამოიწვევს, თუ მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, შემოწირულობა შეგროვდა ლტოლვილთა დასახმარებლად, მაგრამ იგი სხვა მიზნით დაიხარჯა.

შეცდომით დადებული გარიგება ნამდვილია მანამ, სანამ დაინტერესებული პირი არ გახდის სადავოდ. შეცილებასაც ახასიათებს თავისებურებანი: 1) შეცდომა უშუალო მიზეზი უნდა იყოს გარიგების დადებისა და მას ობიექტური წინაპირობები უნდა ჰქონდეს. მაგალითად , თუ პირი ფიროსმანის ნახატს მხოლოდ 500 ლარად ყიდის, ამან ეჭვი უნდა გამოიწვიოს და შესაბამისად ობიექტური საფუძველიც აღარ იარსებებს.

2)თუ მხარე თანახმაა, შეასრულოს შეცდომით დადებული გარიგება ისე , როგორც ეს მეორე მხარეს სურს, მაშინ შეცილება დაუშვებელია.

3)გარიგების ბათილობა დაიშვება მხოლოდ არსებითი შეცდომისას, ხოლო წვრილმანი შეცდომები იძლევა მხოლოდ შეცდომის გამოსწორების უფლებას.

შეცდომით დადებული გარიგების შეცილება ცალმხრივი გარიგებაა, მაგრამ ნამდვილობისათვის მეორე მხარის თანხმობას საჭიროებს.

5) ა) სამოქალაქო კოდექსის სისტემა

სსკ პანდექტური სამართლის სისტემას შეესაბამება. მას აქვს ზოგადი ნაწილი, რაც საერთოა მთლიანად კერძო სამართლისათვის. განსხვავებით დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსისგან, რომელსაც საყოველთაო კოდექსის პრეტენზია ჰქონდა და სამართლის ყველა დარგის ზოგად დებულებებს მოიცავდა, სსკ სხვა გზით წავიდა. ის ურთიერთობები, რაც სხვა კანონებით წესრიგდებოდა კოდექსში აღარ შესულა, ან მხოლოდ ნაწილობრივ შევიდა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ავიცილოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმების არსებობა.

სსკ-ს სიახლეა ის, რომ მასში მთლიანად შევიდა საოჯახო სამართალი. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც ეს გააკეთა და აღადგინა კლასიკური სამოქალაქო კოდექსების ტრადიცია.

სსკ ექვსი ნაწილისგან შედგება: ზოგადი ნაწილი, სანივთო (ქონებრივი), ვალდებულებითი, ინტელექტუალური საკუთრების, საოჯახო, სამემკვიდრო სამართალი.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროდან სსკ სრულად აწესრიგებს საავტორო სამართალს, ხოლო სამრეწველო საკუთრების საკითხები ცალკე კანონებით წესრიგდება.

ბ) წარმომადგენლობის ცნება და მისი ნამდვილობის პირობები

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

არის შემთხვევები, როდესაც პირს არ შეუძლია გარიგების დადება. ასეთ დროს გამოიყენება **წარმომადგენლობა**, ის ასახავს ვითარებას, როცა პირი საკუთარი სახლით კი არა, სხვისის სახელითა და სხვისივე ინტერესებისათვის დებს გარიგებას. სხვისი სახელით მოქმედ პირს წარმომადგენელი ეწოდება. ასეთ დროს გარიგება ხორციელდება წარმომადგენლის პირობაში, ხოლო შედეგები წარმომადგენელი პირის მიმართ დგება.

წარმომადგენლობის სახეა იურიდიული პირის ორგანო.თუმცა ის განსხვავდება გარიგების წარმომადგენლობისაგან,რადგანაც იურიდიულ პირს მის გარეშ არსებობა არ შეუძლია. წარმოდგენილი პირი ვალდებული არ არის ურთიერთობა წარმომადგენლის მეშვეობით დაამყაროს,მას აქვს არჩევანის თავისუფლება. ძალიან მნიშვნელოვანია კანონით წარმომადგენლობა.მისი მეშვეობით ხდება სამართებრივ ურთიერთობებში იმ პირთა ჩაბმა, რომლებიც ასაკის,ჯანმრთელობის მდგომარეობის თუ სხვა მიზეზების გამო მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თავად განახორციელონ უფლება-მოვალეობანი.კანონიერი წარმომადგელები არიან მშობლები,მეურვეები და მზრუნველები.მათი უფლებამოსილებების ფარგლები განისაზღვრება კანონით. ერთმანეთისგან განსხვავდება პირდაპირი და არაპირდაპირი წარმომადგენლობა. პირდაპირი წარმომადგენლობისას მასში გარეგნულად მონაწილეობს წარმომადგენელი,მაგრამ ურთიერთობების შედეგები უშუალოდ მიმართულია წარმოდგენილი პირის მიმართ. იგი გულისხმობს არა მხოლოდ მოქმედებას წარმოდგენილი პირისთვის, არამედ მოქმედებას მისი სახელითაც. არაპირდაპირი წარმომადგენლობის დროს წარმომადგენელი მოქმედებს თავისი სახელით. შედეგი ჯერ მის მიმართ დგება,ხოლო შემდეგ წარმოდგენილის მიმართ. არაპირდაპირი წარმომადგენლობა უფრო ფაქტობრივ მდგომარეობად ითვლება,ხოლო წარმომადგენლობად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ პირდაპირი წარმომადგენლობა ე.ი. როცა წარმომადგენელი მოქმედებს პირის სახელით და ამ პირისთვის.

წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება-მინდობილობის გაცემა.მინდობილობა შეიძლება განიმარტოს,როგორც გარიგებს საფუძველზე მინიჭებული წარმომადგენლობის უფლებამოსილება -რწმუნებულება.

წარმომადგენლობას სპეციფიკური მახასიათებლები აქვს:ა)წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას. ბ)ამას აკეთებს სხვისი სახელით გ)უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს.

წარმომადგენელი არ არის გაკოტრების მმართველი, ანდერძის აღმსრულებელი ან სამკვიდროს მმართველი, რადგან ისინი მოქმედებენ საკუთარი სახელით. ასევე წარმომადგენელი არ არის კურიერი, იგი მხოლოდ გადაცემია. წარმომადგენლად არ მიიჩნვა კომისიონერი ან ექსპედიტორი. ასევე მრჩეველი, თარჯიმანი და სამდივნოს თანამშრომელი.

სამოქალაქო სამართლაში არსებობს **არაპირდაპირი წარმომადგენლობა**. მისი მაგალითია საკუთრების მინდობა. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის საკუთარი სახელით, მაგრამ მიმნდობის ინტერესებისთვის მოქმედებს.

წარმომადგენლობაში სულ ცოტა სამი პირი

მონაწილეობს: **წარმომადგენელი, წარმოდგენილი და მესამე პირი.**

აუცილებელია, რომ მესამე პირმა იცოდეს გარიგების მხარის ვინაობა. ასევე, არ შეიძლება პირმა გადააჭარბოს უფლებამოსილებეს. მხოლოდ უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებები წარმოსობს სამართლებრივ შედეგს.

წარმომადგენლობის ნამდვილობისთვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების დაცვა: **ა) წარმომადგენლობა დაშვებული უნდა იყოს მოცმული გარიგებისთვის.**

წარმომადგენლობა თითქმის ყველა გარიგებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას, მაგრამ მაინც არსებობს გამონაკლისები, როცა გარიგების ხასიათიდან გამომდინარე იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა ან როცა კანონითაა აკრძალული წარმომადგენლობით გარიგების დადება. წარმომადგენელი უნდა იყოს სრულად ან შეზღუდულად ქმედუნარიანი.

ბ) წარმომადგენელი გამოხატავს თავის ნებას, მაგრამ სხვისი სახელით.

კონტრაქტისთვის ნათელი უნდა იყოს მისი წარმომადგენლობა. თუმცა არსებობს გამონაკლისიც, როცა პირი მოქმედებს წარმოდგენილი პირისთვის, მაგრამ ამას ხელშეკრულების მხარეს არ ატყობინებს და მხარისთვისაც სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას.

გ) მას უნდა ჰქონეს წარმომადგენლობის ნება ან ისეთ პირობებში უნდა იმყოფებოდეს, რომ სავარაუდო იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა. - თუმცა მისი არ არსებობა არ შეიძლება გარიგების ბათილობის მიზეზი

იყოს თუ გარიგება ისეთ პირობებში დაიდო, როცა მესამე პირს კეთილსინდისიერიად ეგონა წარმომადგენლობის უფლების არსებობა. წარმომადგენლობის უფლებამოსილება წარმოიშობა კანონიდან ან გარიგებიდან. წარმომადგენლობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვასხვაოთ შიდა და გარე ურთიერთობები. გარე ურთიერთობა წარმოიშობა წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც იდება წარმოდგენილის სახელით ხელშეკრულება. შიდა ურთიერთობა არსებობს წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სწყვეტის საფუძვლებია: ვადის გასვლა, უფლებამოსილების გაუქმება, უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება, პირობის შესრულება, უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდამჭერის მმლებად ცნობა. წარმომადგენელი, რომელიც ვერ ადასტურებს უფლებამოსილებას, აღდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები ან აანაზღაუროს ზიანი.

6) სამოქალაქო კანონთა განმარტება, მეთოდები, კანონისა და სამართლის ანალოგია

თანამედროვე ცხოვრებისეული ურთიერთობები ისეთი რთულია, რომ მათი მოწესრიგება ისეთი მარტივი წინადადებით, რომლის გაგებასაც ყველა შეძლებს, შეუძლებელია. ამიტომაც აუცილებელია კანონთა განმარტება. იურისტების მოვალეობაა, რომ გაარკვიონ მოსახლეობა თანამედროვე რთულ სოციალურ და საკანონმდებლო ლაბირინთებში.

კანონის განმარტება გულისხმობს მისი ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას, ტექსტის მნიშვნელობის დადგენას. ფართო გაგებით, განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს და ერთი მხრივ, გულისხმობს კანონისა და სამართლის ანალოგიის საფუძველზე ნორმების ჩამოყალიბებას და მეორე მხრივ, ნორმების განვითარებას ზოგადი დებულებებიდან. კანონთა განმარტება გარკვეულ პრინციპებს ემყარება, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია :

1. ობიექტურობის პრინციპი-იგი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს კანონის ჭეშმარიტი არსის დადგენას მისი ტექსტის საფუძველზე.

2. ერთიანობის პრინციპი-კანონის თითოეული ნორმა კანონთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული და არა მისგან მოწყვეტილად.

3.გენეტიკური განმარტების პრინციპი-ტექსტის განმარტებისას უნდა გავითვალისწინოთ მისი წარმოშობა,წარმოშობის ობიექტური,ენობრივი,კულტურული და საზოგადოებრივი პირობები,ასევე ავტორებიც.

4.განმარტება შედარების მეშვეობით-განმარტება ხდება ანალოგიურ სფეროსა და დროში წარმოშობილ ტექსტებთან ურთიერთშეფარდების საფუძველზე.

ახსნა-განმარტების საფუძვლები:

- 1.გრამატიკული
- 2.ლოგიკური
- 3.სისტემატიკური
- 4.ისტორიულ-პოლიტიკური
- 5.სპეციალურ-იურიდიული
- 6.ფუნქციონალური

ფართო გაგებით განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს. მას მიეკუთვნენა : ნორმების ჩამოყალიბება ანალოგიის საფუძველზე, ნორმების განვითარება ზოგადი დებულებებიდან.

როცა კანონი ბუნდოვანია,ხარვეზი აქვს ან არ არსებობს სათანადო ნორმა,გამოიყენება ანალოგიური , ყველაზე უფრო მსგავსი ურთერთობის მომწესრიგებელი ნორმა.ამას **კანონის ანალოგია** ეწოდება.

როცა არც ანალოგიური ნორმა არსებობს, ურთიერთობა წესრიგდება სამართლის ზოგადი პრინციპებიდან საფუძველზე,სამართლიანობის,კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად, ამას **სამართლის ანალოგია** ჰქვია.

ბ)იძულებით დადებული გარიგებები

გარიგება არის ცალმხრივი,ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

გარიგების ბათილობის სხვადასხვა მიზეზები არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანია **გარიგების იძულებით დადება**. ასეთ დროს

პირმა იცის რეალური, ვითარება რის გამოც გარიგების წინააღმდეგია, მაგრამ მას გარეგანი ზემოქმედების შედეგად იძულებენ, რომ დაეთანხმოს შთავაზებულ წინადადებას.

იძულება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოხატოს. იგი შეიძლება არსებობდეს **ფიზიკური ზემოქმედების ფორმით, ასევე, ფარული ან აშკარა მუქარის სახით.**

იძულებით დადებული გარიგების შეცილების ფლება აქვს ხელყოფილ პირს, თუმცა იძულებად არ ჩაითვლება ისეთი ქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებია. ეს პირობები კუმულატიურია ანუ მიზანიც და საშუალებაც მართლზომიერი უნდა იყოს.

მართლწინააღმდეგობა არსებობს მაშინაც, როცა მართლსაწინააღმდეგოა მუქარის მიზანი ან საშუალება ან ერთმანეთთან შეუსაბამოა მიზანიც და საშუალებაც. ანუ კანონი მოითხოვს არა მხოლოდ მიზნისა და საშუალების

მართლზომიერებას, არამედ მათ ურთიერთშესაბამისობასაც.

მუქარის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილებისას აუცილებელია, რომ მუქარასა და გარიგებას შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამასთანავე, არ არის აუცილებელი იძუება გარიგების მონაწილისგან მოდიოდეს, შესაძლოა იგი მომდინარეობდეს მესამე პირისგან.

იძულებით დადებული გარიგება საცილოა. იგი ავტომატურად არ იწვევს ბათილობას და დამოკიდებულია შეცილებაზე. შეცილების ვადაა ერთი წელს, თუმცა იგი აითვლება იძულების დამთავრების მომენტიდან. პირს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც იძულებას მოჰყვა.

7) ა) კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება

კერძო ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრულ ფარგლებში მოაწესრიგონ გარიგებების, განსაკუთრებით ხელშეკრულების მეშვეობით.

კერძო ავტონომიის ერთერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომლის თანახმადაც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერი

კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი მოქმედება.

კერძო ავტონომია გულისხმობს **თვითპასუხისმგებლობასაც**. პირი თავის მოქმედებისთვის თავად აგებს პასუხს.რაც ჩაიდინა,ან იკისრა, უნდა გამოსწოროს ან შეასრულოს.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტენტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებულ თავისუფლად განსაზღვროს მისი შინაარსი.

ხელშეკრულების დადებით მხარეები ნებაყოფლობითა და ორმხრივად კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას , ამით თავს იბოჭავენ,რასაც **სახელშეკრულებო თვითბოჭვა** ჰქვია.

კერძო ავტონომიის კლასიკური გამოხატულებაა **ანდერძის თავისუფლება**. პირს აქვს უფლება ქონება დაუტოვოს ნებისმიერ პირს.

კერძო ავტონომია სამოქალაქო სამართლის საფუძველია, მაგრამ მაინც არაა შეუზღუდავი. იგი შეიძლება შეიზღუდოს **სახელმწიფოს უსაფრთხოებით ან კონტრაქტების ხელშეკრულებით**. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ საწარმოებს, რომელთაც ბაზარზე გაბატონებული მდგომარეოა უკავიათ, არ აქვთ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლება.

ბ) არასამეწარმეო იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთრების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

იგი შეიძლება იყოს **კერძო ან საჯარო სამართლის**. კერძო სამართლის იურიდიული პირები იყოფა **სამეწარმეო და არასამეწარმეო** იურიდიულ პირებად.

არასამეწარმეო იურიდიული პირი იქმნება იდეალური, საქველმოქმედო, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური, სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ამოცანების განსახორციელებლად. თუმცა მათ სსკ ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებასაც. თუმცა მათი საქმიანობა გარკვეულ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს :

პირველი, მათ მიერ გაწეული სამეწარმეო საქმიანობა დამხმარე ხასიათის უნდა იყოს და მიღებული მოგება მთლიანად უნდა მოხმარდეს იურიდიული პირის მიზნების რეალიზაციას.

მეორე, დაუშვებელია სამეწარმეო საქმიანობით მიღებული ქონების განაწილება ა(ა)იპ-ს დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებსა და ხელმძღვანელებს შორის. მოგება ან დასახული მიზნების რეალიზაციას უნდა მოხმარდეს ან უნდა დარჩეს იურიდიულ პირს.

გარდა ამ ორი ნიშნისა არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირების სხვა განსხვავებებიც საყურადღებოა:

პირველი, კომერციული იურიდიული პირის ქონება იყოფა წილებად, რომელთაც დამოუკიდებელი ქონებრივი ღირებულება აქვთ. მათი გასხვისება შესაძლებელია. ა(ა)იპ-ის ქონება არაა წილებად დაყოფილი და არც მათი გასხვისებაა შესაძლებელი.

მეორე, კომერციული იურიდიული პირიდან გასვლა დაკავშირებულია ქონებრივ შედეგებთან, არაკომერციულიდან გასვლა-არა.

მესამე, კომერციული იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი თანხა ნაწილდება დამფუძნებლებს ან პარტნიორებს შორის, არაკომერციულის ლიკვიდაციისას მისი ქონების განაწილება დაუშვებელია.

მეოთხე, ერთი სამართლებრივი კომერციული იურიდიული პირის მეორედ გარდაქმნა შესაძლებელია, ხოლო არაკომერციულის დროს სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია.

8)ა) სამოქალაქო სამართლის ობიექტები

ობიექტები არის ის სიკეთეები, რომელთა გამოც ქონებრივ ურთიერთობათა უმეტესობა წარმოიშობა.

სსკ მათ სანივთო სამართალში განამტკიცებს.

ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ობიექტი - ქონება, არის ყველა ნივთი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

სსკ ობიექტებს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: **ნივთებად და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებად,**

ნივთები პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნებია.

ნივთი არ არაის ადამიანი ან მისი სხეული, არც სხეულის ნაწილი, ვიდრე ცოცხალი ორგანიზმის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო სხეულიდან მოცილებისა და მათზე გარიგების დადებისთანავე გარდაიქმნებიან ნივთებად.

ნივთი არ არიან ცხოველებიც, მაგრამ შეიძლება გავუთანაბროთ მათ.

ნივთები იყოფა **უძრავ და მოძრავ ნივთებად**. მათ შორის არსებული სამართლებრივი განსხვავება კარგად ჩანს საკუთრების შეძენისას. უძრავ ნივთზე საკუთრებისთვის გარიგების დასადებად საჭიროა წერილობითი გაფორმება და შემძენის საჯარო რეესტრში ტეგისტრაცია, ხოლო მოძრავი ნივთის შემთხვევას მხოლოდ გადაცემაც საკმარისია.

უძრავი ნივთია მიწის ნაკვეთი, მასზესებული შნობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. მოძრავია ნებისმიერი ნივთი, რომელიც სსკს მიხედვით არაა უძრავი.

მოძრავი ნივთები იყოფა **შეცვლად და შეუცვლად, გვაროვნულ და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ, მოხმარებად და მოუხმარებად** ნივთებად.

რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს სსკ ასახელებს მოთხოვნებსა და უფლებებს.

უფლებებს, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს, განეკუთვნება მომიჯნავე და საავტორო უფლებები.

სამოქალაქო სამართლის ობიექტად შეიძლება განვიხილოთ ნაყოფი. განასხვავებენ ნივთისა და უფლების ნაყოფს. პირველს განეკუთვნება ნამატი და უპირატესობა, რასაც ეს ნივთი იძლევა. უფლების ნაყოფია ის შემოსავალი, არც მიიღება მისი გამოყენების შედეგად.

რაც შეეხება ქონებას, ქონებად მიიჩნევა ქონებრივი უფლებების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტულ პირს ეკუთვნის.

ბ) გარიგების ცნება

სამართალი ორ ნაწილად იყოფა : კერძო და საჯარო სამართლად. კერძო პირთა შორის ურთიერთობების კერძო სამართალი არეგულირებს. მის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს კერძო ავტონომია. კერძო ავტონომიის განხორციელების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა გარიგება.

სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია. გარიგების დადებისას დაცული უნდა იყოს მატერიალური და ფორმალური წინაპირობები. პირველი მათგანი გულისხმობს, პირის გონებრივ შესაძლებლობას, მეორე-ნების გამოხატვის სამართლებრივ ფორმას. ნების გამოვლენის ამგვარ თვისებას, რომ იგი ვარგისია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისთვის ნების გამოვლენის ნადვილობა ეწოდება.

გარიგების ცალმხრივი გამოვლენაა, მაგალითად, სამკვიდროს გახსნა და მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება. ორმხრივი ან მრავალმხრივია ხელშეკრულება, რომელიც ორი ან მეტი პირის თანამონაწილეობას მოითხოვს. არის შემთხვევები, რომლებიც ჰგავს გარიგებას, მაგრამ მათზე არ ვრცელდება სსკ-ით გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილი წესები.

1. **დამატებითი ვადის დანიშვნა.** კრედიტორს შეუძლია მოვალეოს დაუნიშნოს დამატებითი ვადა და ეს არ მიიჩნევა გარიგებად.
2. **გაფრთხილება.** კრედიტორის მიერ მოვალისთვის გაგზავნილი გაფრთხილება, რომ ის არ აპირებს სხვა შესრულების მიღებას, არ არის გარიგება.
3. **შეტყობინება.** მოვალეს უფლება აქვს ალტერნატიული ვალდებულებებიდან აირჩიოს ერთ-ერთი და ამის შესახებ ატყობინებს კრედიტორს, არ არის გარიგება.
4. **მოქმედებები,** რომლებიც სამართლებრივ შედეგს იწვევენ შეტყობინების გარეშე, არ არის გარიგება. მათ რეალური აქტები ეწოდება.
5. **ზნეობრივი ვალდებულებები.** ჰგავს, თუმცა არ არის გარიგება

9) ა) **სამოქალაქო უფლების განხორციელების ფარგლები** (კეთილსინდისიერად, მართლზომიერად განხორციელება. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა)

სამოქალაქო უფლება კერძო სამართლის სუბიექტებისთვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობაა, რომელიც კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ გამოიყენონ თავისუფლად და საკუთარი შეხედულებისამებრ, თუმცა მართლწესრიგი მისის გამოყენების ფარგლებს აწესებს.

აღსანიშნავია, რომ იგი არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, არც ნიშნავს იმას, რომ უფლებამოსილმა პირმა უნდა დაიცვას უფლების განხორციელებისთვის კანონით დადგენილი წესი. უფლების განხორციელების ფარგლები ხშირად განპირობებულია ამ უფლების საგნით.

სსკ კრძალავს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამ მიზანს იგი აღწევს **იმპერატიული ნორმებითა და შიკანის აკრძალვით**. შიკანა აღნიშნავს უფლების გამოყენებას მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვას ზიანი მიაღგეს. მოქმედების შიკანად დაკვალიფიცირებისათვის მთავარია პირის განზრახვა, რომ მისი მოქმედების ერთადერთ მიზანს სხვისთვის ზიანის იყენება წარმოადგენდა. ასეთ

შემთხვევებს სსკ ბათილად მიიჩნევს. ბათილია ასევე გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

ასევე, სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების მონოპოლია სახელმწიფოს ხელშია და დაუშვებელია ე.წ. „თვითგასამართლება“. გამონაკლისს წარმოადგენს სამი შემთხვევა: აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, თვითდახმარება.

აუცილებელ მოგერიებად ითვლება თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვაზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.

უკიდურესი აუცილებლობის დროს საფრთხე მომდინარეობს ქონებრივი ობიექტიდან, რომელიც სხვა, უფრო ღირებული ობიექტის გადასარჩენად ზიანდება და მისი დაზიანება ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს მოცემულ სიტუაციაში. ამ შემთხვევაში ზიანი ზიანის მიმყენებელმა უნდა აანაზღაუროს.

თვითდახმარება მხოლოდ მაშინაა მართლზომერი, თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ უფლება შეიძლება ვერ განხორციელდეს. მას აქვს გარკვეული წინაპირობები. **პირველი**, უფლებამოსილ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, რომლის განხორციელებაც ემსახურება თვითდახმარება. **მეორე**, კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უნდა უსწრებდეს. **მესამე**, უნდა არსებობდეს საფრთხე, რომ სწრაფი ჩარევის გარეშე უფლება ვერ განხორციელდება ან მისი განხორციელება ძლიერ გართულდება.

ბ) მოტყუებით დადებული გარიგებები

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

თუმცა შეიძლება გარიგება დაიდოს მოტყუებით. მოტყუებად ითვლება შეცდომაში განზრახ შეყვანა. მოტყუებით დადებული ყველა გარიგება ბათილია და მის შესასრულებლად მხოლოდ ერთი პირობის დაკმაყოფილებაა საკმარისი, აშკარა უნდა იყოს, რომ გარიგება არ დაიდებოდა მოტყუების გარეშე.

მოტყუება შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ აქტიურ ქმედებაში, არამედ იმ მონაცემთა დამალვაშიც, რომელიც გარიგების მხარეს მეორე მხარისთვის უნდა შეეტყობინებინა.

ასეთ დროს გარიგების ბათილობისთვის არ აქვს მნიშვნელობა რა იყო მხარის ტყუილის მიზანი: მეორე მხარისთვის ზიანის მიყენება თუ სარგებელის მიღება.

ზოგიერთ შემთხვევაში არასწორი ცნობები მომდინარეობს არა უშუალოდ გარიგების მონაწილიდან, არამედ მესამე პირიდან, მაგრამ მონაწილემ ამის შესახებ იცის. მესამე პირად არ მიიჩნევა პირი, რომელიც გარიგების ერთ-ერთი მხარის მიზნების ემსახურება, მაგალიტად წარმომადგენელი.

მოტყუებით დადებული გარიგება ნამდვილია მანამ, სანამ დაინტერესებული პირი არ მოითხოვს მის ბათილობას. შეცდომების ვადაა ერთი წელი.

10) ა) სამოქალაქო უფლების ცნება და სახეები, შეძენისა და შეწყვეტის საფუძვლები

სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით.

სამოქალაქო უფლებები განსხვავდება ერთმანეთისგან ყველაზე მნიშვნელოვანია მათი დაყოფა **აბსოლუტურ და რელატიურ (ფარდობით) უფლებებად**.

აბსოლუტური უფლება მოქმედებს ყველა მესამე პირის მიმართ, რომელიც მას ხელყოფს. მასძე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებზე. აბსოლუტური უფლებებია: პირადი, პირადი საოჯახო უფლებები, ნოტებსა და სხვა არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები.

რელატიური უფლებები მოქმედებს მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. მათზე ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებიც. მას მიეკუთვნება მოთხოვნები, აღმჭურველი უფლებები და სესაგებლები.

მოთხოვნები შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონის მიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან. **აღმჭურველი უფლებები** პირს საშუალებას

აძლევენ გავლენა მოახდინონ სამართლებრივ ურთიერთობებზე და მეორე მხარის დაუკითხავად, მისი თანხმობის გარეშე შეწყვიტოს ან შეცვალოს ურთიერთობა.

შესაგებლები უფლებამოსილ პირს ანიჭებელ განსაზღვრულ მოქმედებაზე უარის თქმის უფლებას, რითაც მეორე მხარეს არ ეძლევა საკუთარი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

სამოქალაქო სამართლაში არსებობს წარმოშობის მიხედვით ორი სახის უფლებები: **პირველადი და დერივატიული (ნაწარმოები)**. უფლების პირველადი წარმოშობა გამონაკლისის წარმოადგენს და გულისხმობს, რომ იგი პირთან წარმოიშვა ისე, რომ საფუძვლად არ ედო გარიგება. ნაწარმოებ უფლებათა წარმოშობა ხდება წინამორბედი პირისგან, რომელსაც ჰქონდა ეს უფლება და სხვა პირს გადასცა. მისი საფუძველი შეიძლება იყოს გარიგება ან კანონი. გადაცემის წესი გადაცემის ობიექტზეა დამოკიდებული. დაუშვებელია პირად უფლებათა გადაცემა.

გარიგების საფუძველზე უფლების შეწყვეტის ყველაზე გავრცეებული საშუალებაა უარის თქმა უფლებაზე ან უფლების ვადის გასვლა. ასევე შესაძლებელია, კანონის საფუძველზე უფლების შეწყვეტა, რაც შეიძლება გამოიწვიოს პირის გარდაცვალებამ. უფლების შეწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდეს ნივთის დაღუპვაც.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირების სპეციალური უფლებამოსილება

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კერძო ან საჯარო სამართლის. კერძო სამართლის იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობა ზოგადია, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირებს სპეციალური უფლებაუნარიანობა ახასიათებთ. მას შეუძლია განხორციელოს შესაბამისი კანონით, პრეზიდენტის ბრძანებულებით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

სპეციალური უფლებაუნარიანობის დარღვევით დადებული გარიგებები ბათილია და მესამე პირს არ შეუძლია მიუთითოს,რომ მისთვის უცნობი იყო სსიპ-ის სპეციალური უფლებაუნარიანობა. მაგალითად , თ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გაყიდის ბანკის ავტომანქანას ნებართვის გარეშე , გარიგე იქნება ბათილი.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა შექმნა და საქმიანობა კერძო სამართლის,მათ შორის სამოქალაქო სამართლის მოწესრიგების სფეროს არ წარმოადგენს.ეს საჯარო სამართლის საქმეა.თუმცა კერძო სამართალი მათ აღიარებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად. ისინი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე,როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

11)ა)ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა

სსკს მე-11 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.იგი წარმოიშობა დაბადების მომენტიდან, მომენტიდან ,როცა ახალშობილი პირველად ამოისუნთქავს.

უფლებაუნარიანობა აღნისნავს ფიზიკური პირის უნარს, იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

მნიშვნელოვანია ჩანასახის მდგომარეობაც. სსკ მემკვიდრედ ყოფნის უფლებას უკავშირებს ჩასახვის მომენტს. ჩანასახის უფლებაუნარიანობის ბუნების შეფასებისას აღსანიშნავია, ორი თეორია: ერთი ჩანასახის უფლებაუნარიანობას მიიჩნევს უპირობოდ, მეორე-პირობითად.

მე-11 მუხლის თანახმად მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე და მისი განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. თუმცა რადგანაც სუბიექტი არ არსებობს, უნდა ვივარაუდოთ,რომ საუბარია შეზღუდულ და პირობით უფლებაუნარიანობაზე. შეზღუდულია,რადგან მხოლოდ მემკვიდრედ ყოფნის უნარს განამტკიცებს და პირობითი,რადგან დამოკიდებულია დაბადებაზე.

სამოქალაქო სამართლის უზოგადესი პრინციპის თანახმად, ყველა ადამიანი უფლებაუნარიანია.მისი განსაზღვრისას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს მოქალაქეობას.აგრეთვე უმნიშვნელოა პირის პოლიტიკური შეხედულებები და სქესი.

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება პირის გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის მომენტი.

ბ)საჯარო სამართლის იურიდიული პირები

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს,დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კერძო ან საჯარო სამართლის. საჯარო სამართლის. უპირველესი იურიდიული პირი თავად **სახელმწიფოა**.იგი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ისევე მონაწილეობს,როგორც სხვა კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ის ამ ურთიერთობებში მონაწილეობისათვის იყენებს თავის ორგანოებს , რომლებიც,როგორც წესი, არ არიან იურიდიული პირები. თუმცა სახელმწიფოს მონაწილეობა ასეთ ურთიერთობებში თავისებურია,რადგან ერთი მხრივ, თავადაა კანონმდებელი, მეორე მხრივ, ურთიერთობის მონაწილე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეორე სახეს წარმოადგენენ **საჯაროსამართლებრივი კორპორაციები**.

მათ განეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები,რომლებიც სახელმწიფო სახსრებით სახელმწიფოფუნქციებს ახორციელებენ მაგალითად, საზოგადოებრივი ტელევიზია.

ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირია **სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია,რომელიც სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებს. ასეთია, ეროვნული ბანკი.**

საჯარო სამართლებრივ იურიდიულ პირთა კიდეც ერთ ჯგუფს წარმოადგენენ **საჯაროსამართლებრივი დაწესებულებები**. ასეთია, სახელმწიფო ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტები და ა.შ.

დასავლეთ ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს **ე.წ. საჯაროსამართლებრივ ფონდებს**. ეს არის განსაზღვრული საჯარო მიზნისთვის გათვალისწინებული ქონება, რომელიც იმართება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი ორგანოს მიერ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირია **საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია**.

კერძო სამართლის იურიდიულ პირთაგან განსხვავებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ჩამონათვალი არ არის და არც შეიძლება იყოს ამომწურავი.

12)ა) ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა

სსკს მე-12 მუხლის თანახმად, **ქმედუნარაანობა** არის ფიზიკური პირის უნარი თავისი თავისი ნებითა და მოქმედებებით, სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ის, განსხვავებით უფლებაუნარიანობისგან, არ წარმოიშობა დაბადებისთანავე და ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია **ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა**.

ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვნების მღწევისთანავე, ანუ 18 წლიდან. 7 წლამდე პირი ქმედუუნაროა.

7-18 წლის პირი- შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე.

ასაკის მიხედვით ქმედუნარიანოს განხილვისას მნიშვნელოვანია ემანსიპაციის ინსტიტუტიც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირს არ მიუღწევია

სრულწლოვნებისათვის, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას

სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. სამოქალაქო სამართალი ორ ასეთ პირობას იცნობს: პირველი შემთხვევაა ქორწინება. სსკს მიხედვით,

საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი, მაგრამ გამოაკლის შემთხვევებში იგი

დასაშვებია 16 წლიდან. ასე რომ 16 წლის დაქორწინებული პირი მიიჩნევა სრული ქმედუარაიანობის მქონედ.

მეორე გარემოებაა სსკს 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა. თუ 16 წელს მიღწეულ პირს კანონიერი წარმომადგენელი მიახლოებს საწარმოს მართვას, ის ხდება სრული ქმედუნარიანობის მქონე.

კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე პირი მიიჩნევა ქმედუნარიანად, ისე რომ არ არის საჭირო რაიმე დოკუმენტის შედგენა. ამიტომ მოქმედებს პრეზუმცია, რომ 18 წელს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარიანია. თუმცა ქმედუნარიანობა დაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთანაც. შეიძლება ადამიანი იყოს 18 წლის, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ჰქონდეს ნორმალურად განსჯის უნარი. ასეთად სსკ მიიჩნევს ჭკუასუსტობასა და სულით ავადმყოფობას. ამ მიზეზთა გამო ქმედუნარიანობის შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებებს დებს მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც.

ბ) იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. განსხვავდება კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები და აგრეთვე განსხვავდება მათი უფლებაუნარიანობაც. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს აქვთ **ზოგადი უფლებაუნარიანობა**, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს **სპეციალური უფლებაუნარიანობა**.

ზოგადი უფლებაუნარიანობის თანახმად კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს გათვალისწინებული მათი სადამფუძნებლო დოკუმენტით. იურიდიული პირის საქმიანობის განსაზღვრას არ აქვს პირდაპირი გავლენა უფლებაუნარიანობაზე. აღსანიშნავია, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მესამე პირებთან დადებული გარიგება ნამდვილია,

მიუხედავად იმისა, არღვევს თუ არა ის წესდებით განსაზღვრულ საქმიანობის საგანს.

მნიშვნელოვანია ის გარიგებები, რომელთა დასადებადაც იურიდიულ პირს სჭირდება ლიცენზია/ნებართვა ან ავტორიზაცია სსკ ლიცენზიის გარეშე დადებულ გარიგებათა ბათილობას პირდაპირ არ განამტკიცებს, მაგრამ მისი ბათილობა მაინცაა შესაძლებელი.

როგორც უკვე აღინიშნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს სპეციალური უფლებაუნარიანობა ახასიათებთ. სპეციალური უფლებაუნარიანობის დარღვევით დადებული გარიგებები ბათილია.

იურიდიული პირს თავად არ შეუძლია განახორციელოს მოქმედებები. ამისათვის საჭიროა ფიზიკური პირები, რომლებიც განახორციელებენ მოქმედებებს მისი სახელით. ასე წარმოიშვა **წარმომადგენლობის თეორია**.

ხოლო საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობის სირთულემ გამოიწვია **ორგანული თეორიის** წარმოშობა, რომლის თანახმადაც იურიდიული პირის ქმედუნარიანობა ხორციელდება მისი ორგანოების მეშვეობით.

წარმომადგენლობით თეორიას საფუძვლად უდევს სამანდატო ხელშეკრულება, ამიტომ ის არც თუ ისე სტაბილურია. ორგანული თეორია კი უფრო სტაბილური და სანდოა, რადგან წარმომადგენელი ორგანოს უფლებამოსილებები განისაზღვრება კანონით.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ ან რომელი ორგანო ახორციელებს იურიდიული პირის სახელით საქმიანობას, ვინ წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ის, თუ ვინ იღებს სამართლებრივად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თვით იურიდიული პირის შიგნით.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობაც და ქმედუნარიანობაც წარმოიშობა მისი ოფიციალურად წარმოშობისთანავე. იურიდიული პირი წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.

13) იურიდიული პირის ცნება და ნიშნები

სამოქალაქო ურთიერთობის ძირითადი მონაწილეა ადამიანი, თუმცა ზოგჯერ ადამიანები ერთიანდებიან განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და ქმნიან იურიდიულ პირებს.

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ეს განსაკუთრებით ეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართაც მოქმედებს ე.წ. *numerus clauses* პრინციპი. ყოველ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს საორგანიზაციო სტრუქტურები-მართვის ორგანოები.

იურიდიული პირის მიზნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია განვასხვაოთ **სამართლებრივად და იურიდიული პირის მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი მიზანი**. თუმცა მიზნის განსაზღვრას არ აქვს მნიშვნელობა მესამე პირებთან ურთიერთობისთვის. იურიდიული პირის მიზანი არ უნდა იყოს ერთჯერადი და უნდა მოითხოვდეს მის ხანგრძლივად არსებობას.

აუცილებელია რომ იურიდიული პირის ქონება გამოყოფილი იყოს წევრთა პირადი ქონებიდან. თავად იურიდიული პირი არავის საკუთრება არ არის. მას აკისრია დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა და კრედიტორთა წინაშე საკუთარი ქონებით აგებს პასუხს.

საკუთარი სახელის ქონა იურიდიულ პირს ანიჭებს შესაძლებლობას შეიძინოს უფლებები და მოვალეობები, დადოს გარგებები, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე. სახელის ტარება მისი მოვალეობაა.

იურიდიული პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე წარმოიშობა მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. იგი წარმოშობისთანავე ხდება უფლებათუნარიანი და ქმედუნარიანი.

ბ) გარიგების სახეები

სამართალი ორ ნაწილად იყოფა : კერძო და საჯარო სამართლად. კერძო პირთა შორის ურთიერთობების კერძო სამართალი არეგულირებს. მის ფუძემდებლურ

პრინციპს წარმოადგენს კერძო ავტონომია. კერძო ავტონომიის განხორციელების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა **გარიგება**.

სსკს 50-ე მუხლის თანახმად, **გარიგება** არის ცალმხრივი,ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

გარიგება შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის.მაგალითად ცალმხრივი,ორმხრივი ან მრავალმხრივი. ისეთ გარიგებებს,რომელთ ანამდვილობისთვის ერთი პირის თანხმობა საკმარისა **ცალმხრივი** ეწოდება. ისინი რამდენიმე ჯგუფად იყოფა: **პირველი**,ცალმხრივი გარიგებები,რომლებიც მხოლოდ მოქმედ ანუ ნების გამომვლენ პირს ეხება.

მეორე,გარიგებები,რომლებიც იურიდიულ ძალას მხოლოდ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად იძენენ, მაგრამ უფლებრივ,ქონებრივ ან სხვა სახის უპირატესობას ანიჭებენ მწსამე პირებს. მაგალითად:ანდერძი, მინდობილობა.

მესამე,გარიგება ეხება მესამე პირებს,თუმცა ეს შეიძლება ზიანის მომტანი იყოს მათთვის. მაგალითად, ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა.

კანონი ცალმხრივი ნების გამოვლენის ადრესატს თითქმის ყველა შემთხვევაში აძლევს თავდაცვის საშუალებას.

ცალმხრივ გარიგებასთან შედარებით უფრო გავრცელებულია ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები.

ორმხრივი გარიგების კლასიკური ფორმაა ხელშეკრულება.მისი აუცილებელი ელემენტია კონსენსუსი-მხარეთა შეთანხმება.

ხელშეკრულება იყოფა **ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად**. ამისათვის მნიშვნელოვანია მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება. თუ ერთ მხარეს აქვს უფლებები, მეორეს მოვალეობები , მაშინ ხელშეკრულება ცალმხრივია თუ ისინი გადანაწილებულია , მაშინ ორმხრივი.

რაც შეეხება ,რავალმხრივ გარიგებებს, მათი ყველაზე გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილებები,რომლებიც პირთა უმეტესობის მიერ მიიღება.

გარიგება შეიძლება იყოს **ვალდებულებითი, სანივთო, საავტორო, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლებრივი**.

არსებობს მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგებები. მავალდებულებელი გარიგების საფუძველზე პირი სხვათა წინაშე გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს.

განკარგვითი გარიგება უკვე არსებულ უფლებაზე ზემოქმედება - მისი შეცვლა, სხვისთვის გადაცემა, უფლებრივი დატვირთვა ან გაუქმება. განკარგვათა შემდეგი სახეები არსებობს: **გასხვისება, უფლებრივი დატვირთვა, სანივთო უფლებების შეცვლა და უარის თქმა უფლებებზე.**

ასევე არსებობს **კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები.** კაუზალური გარიგება, რომელსაც აქვს კონკრეტულად ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი და მთლიანად მასზეა დამოკიდებული. აბსტრაქტული გარიგებისას საფუძველს მნიშვნელობა არ აქვს და გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია ამ საფუძვლის ნამდვილობაზე.

გარიგება შეიძლება იყოს **სასყიდლიანი და უსასყიდლო. ანუ სანაცვალგებო და უნაცვალგებო.** სასყიდლიანობისას ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება ექვივალენტი მეორისაგან, უსასყიდლობის დროს ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მაგრამ საპასუხოს ვერ იღებს.

შეიძლება გარიგებათ სხვაგვარი კლასიფიკაციაც, მაგალითად, **ქონებრივ და პირად არაქონებრივ გარიგებებად.**

14) ა) თეორიები იურიდიული პირების შესახებ

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. იურიდიული პირის შესახებ არსებობს სხვადასხვა თეორიები.

ფიქციის თეორია. მის ფუძემდებლად ითვლება გერმანელი მეცნიერი სავინი. ის საუბრობს უფლებაუნარიანობის ტექნიკურ გადატანაზე ფიქციის მეშვეობით. ამავდროულად ეს ფიქცია არ უზრუნველყოფს პირთა გაერთიანების ავტომატურ თანასწორულებიანობას ფიზიკურ პირებთან. ამგვარი გაერთიანების უფლებაუნარიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ქონებრივი სფეროთი. ასე რომ

იურიდიული პირი არის „ქონებაუნარიანი,ხელოვნური სუბიექტი“.

უფლებაუნარიანობის ამგვარი გავრცელება სოციალურ წარმონაქმნებზე შესაძლებელია მხოლოდ სამართლის ნორმის ან სახელმწიფოს სპეციალური აქტის საფუძველზე. ფიქციის თეორიის თანახმად, იურიდიული პირი არ არის ქმედუნარიანი და მას „არასრულწლოვნის მსგავსად, სჭირდება წარმომადგენელი. ასევე , ის არ არის დელიქტუნარიანი.

სავინისეული თეორია არასწორად იქნა გაგებული. საკამათო გახდა ის, თუ რას მიიჩნევდა სავინი ფიქციად-არსებულ სოციალურ წარმონაქმნებს თუ მათ აღიარებას პირად.ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანელი იურისტის **ფლუმეს** სტატია,რომელშიც აღნიშნავდა, რომ სავინის არც კი დაუსვამს საკითხი იურიდიულ პირთა რეალურობის შესახებ,ის ამბობდა, რომ ფიქცია არის ის,რომ მხოლოდ ადამიანების უნარი, იყოს პიროვნება , გადაგვაქვს სხვა სოციალურ წარმონაქმნებზე,რომლებიც ბუნებით არ არიან პიროვნებები და უფლებაუნარიანი არსებები ე.ი. ხელოვნურად ვქმნით მათ.

მაშასადამე,სავინის თანახმად,სოციალური წარმონაქმნები რეალურად არსებობენ,მხოლოდ მათთვის პირად ყოფნის სტატუსის მინიჭებაა ფიქცია.

ამის ხაზგასმა საჭიროა,რათა სავინისეული ფიქციის თეორია განვასხვაოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული თეორიისაგან,რომელიც საერთოდ სოციალური წარმონაქმნის არსებობას აყენებდა ეჭვქვეშ. ამას ამტკიცებდნენ **პუხტა, ვინდშაიდი, კელზენი.**

ვინდშაიდი და **დერინბრუნგი** იურიდიულ პირს მიაწერენ დელიქტურანიანობას. ახალი ცნება, **სამართლებრივი ნებაუნარიანობას**, შემოიღო **ციტელმანმა**. მისი აზრით ნების გამოხატვის უნარი აქვს მხოლოდ ადამიანს, ხოლო იურიდიულ პირთა შემთხვევაში ვხვდებით სამართლებრივ ნებაუნარიანობას.

მეორე თეორიაა **რეალური კავშირის თეორია**,რომელიც წარმოიშვა მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში და **გირკეს** სახელს უკავშირდება. იგი ამტკიცებს,რომ ადამიანური გაერთიანებები რეალურად არსებობენ და ისინი წარმოადგენენ ნებისა და მოქმედების სუბიექტს. გირკე ამბობს,რომ კავშირები თვითონ ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას წარმომადგენლების გარეშე. კავშირს სჭირდება სპეციალური, მისი არსებობისთვის შესაბამისი და ინდივიდების

სამართლისგან განსხვავებული წესრიგი, რასაც გირკე სოციალურ სამართალდ უწოდებს.

პანდექტური სამართლის მეცნიერთა ჯგუფმა შეიმუშავა მესამე თეორია,რომელსაც **მიზნობრივი ქონების თეორია** ეწოდება. იგი იურიდიულიპირის საკითხის განხილვისას მნიშვნელობას ანიჭებს არა პირთა გაერთიანებებს,არამედ ქონებას. ამ თეორიის მიხედვით, შეიძლება არსებობდეს უფლებები სუბიექტის გარეშე, რადგანაც მთავარია ქონება.ამ თეორიის წარმომადგენელი იყო **ბრინცი**.

ეს თეორიები სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა ზოგან უცვლელან,ხოლო ზოგან ცვლილებებით.

ასევე , საფრანგეთში განვითარდა **კოლექტიური საკუთრების თეორია**, რომლის თანახმადაც მთავრია ქონება,რომელიც განსაზღვრული მიზნისთვის არის გათვალისწინებული და ორგანიზაციის,როგორც კოლექტივის საკუთრებაშია.

აღნიშნულმა თეორიებმა დაკარგეს აქტუალობა და დღეს იურიდიული პირი,როგორც სამართლის სუბიექტი დავას აღარ იწვევს.

ბ)ნების გამოვლენის ცნება და მისი განმარტება

ნების გამოვლენა გარიგების დახასიათებისას იმდენად მნიშვნელოვანია,რომ დიდი ხნის განმავლობაში გარიგება და ნების გამოვლენა სინონიმები იყო. მართალია, დღეს ასე აღარ არის და გარიგების ნამდვილობისთვის მხოლოდ ნების გამოვლენა არ კმარა, მაგრამ ნების გამოვლენა გარიგების ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი ელემენტია.

ნების გამოვლენა ანუ ნებელობითი აქტი, გულისხმობს ნებით განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას.

ნება,რომელიც სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს,მაგრამ მთავარია,რომ ის გამომდინარეობდეს ადამიანის ცნობიერებიდან და არ იყოს მხოლოდ მექანიკური აქტი. ნების გამოვლენა მიზნად უნდა ისახავდეს სამართლებრივ შედეგს.

ნებამ რომ ნების გამოვლენის ხასიითი მიიღოს, მისი გარეგნულად გამომხატველი აქტი უნდა იყოს ნებელობითი,სამართლებრივად ვარგისი,მიზნად

უნდა ისახავდეს სამართლებრივ შედეგს და წარმოადგენდეს ამ შედეგის მიღწევის უშუალო საფუძველს.

იმისათვის რომ ნების გამოვლენამ დასახულ სამართლებრივ შედეგს მიაღწიოს, საჭიროა მისი სწორად გაგება. ამისათვის გამოიყენება ნების გამოვლენის განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტება გამოიყენება, რათა მხარეებმა სხვადასხვაგვარად არ გაიგონ ნების გამოვლენა და არ მოხდეს გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი. ნების გამოვლენის განმარტება ჰგავს კანონის განმარტებას. აქაც ხდება ბუნდოვან ადგილთა დაზუსტება, თუმცა მისი მიზანი ვიწროა და მხოლოდ გარიგების მონაწილეებს ეხება.

ნების გამოვლენის განმარტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება, არამედ ისინი, რომლებიც უშუალო კავშირშია მოცემული ნების გამოვლენასთან. ნების გამოვლენისას უნდა განიმარტოს და დაზუსტდეს ბუნდოვანი საკითხები, რომლებიც მხარეებმა სხვადასხვაგვარად გაიგეს.

15) ა) არასამეწარმეო იურიდიული პირები

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კერძო ან საჯარო სამართლის. კერძო სამართლის იურიდიული პირებიორ ნაწილად იყოფა: სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებად.

ყველა ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც არასამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს **არასამეწარმეო იურიდიული პირის** - ა(ა)იპ-ის ყალიბდება. ეს ორგანიზაცია შეიძლება იყოს წევრობაზე დაფუძნებული ან ქონების გაერთიანების საფუძველზე შექმნილი.

არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც. დაფუძნებისათვის აუცილებელია სადამფუძნებლო დოკუმენტი, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული:

1. სახელწოდება- მისი შემადგენელი ნაწილია

„არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი“. დაუშვებელია სხვა იურიდიულ პირთათვის დამახასიათებელი აღნიშვნებისა და უკვე არსებული იურიდიული პირის სახელწოდების გამოყენება.

2. იურიდიული მისამართი- მისამართად ითვლება ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი, ყველა სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება ფილეალების მისამართად.

3. საქმიანობის მიზანი.

4. პირადი მონაცემები და მონაცემები იურიდიული პირის ორგანოების

შესახებ.- მონაცემები დამფუძნებლების, ხელმძღვანელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ. ასევე წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესს, იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელებას, გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას.

არაკომერციულ იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება.

ბ) კანონის, ზნეობისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებანი

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

გარიგების ბათილობის მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ მონაწილეთა მიერ გამოვლენილი ნება ეწინააღმდეგება კანონს, ანუ კანონით დადგენილ ამკრძალავ ნორმებს. ამ შემთხვევაში იგულისხმება ნებისმიერი კანონი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გარიგების შინაარსის განსაზღვრისას.

ამკრძალავი ნორმა შეიძლება იყოს კერძო

სამართლებრივი ხასიათის, რომლებიც პირდაპირ უთითებენ, რომ მოცემული წესის დარღვევით დადებული გარიგება ბათილია. თუმცა ამკრძალავ ნორმათა

უმეტესობა სამოქალაქო სამართლის გარეთ იმყოფება დაუპირველეს ყოვლისა,საჯარო სამართალში.კერძო სამართალი უფრო თავსუფლების მიმინიჭებული სმართალია,ხოლო საჯარო,პირიქით,შეზღუდვების. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სისხლის სამართალი.გარიგებები,რომლებიც სისხლისსამართლებრივ ნორმებს ეწინააღმდეგება დასჯადი და ბათილია. გარიგების ბათილობის მიზეზი შეიძლება გახდეს მისი აღიარება **ზნეობის საწინააღმდეგოდ**. ე წესი სათავეს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს.გარიგების აღიარება ზნეობის საწინააღმდეგო დ საკმაოდ რთულია,რადგან თავად ზნეობის არსის დადგენაც სირთულეს წარმოადგენს.ყოველ საზოგადოებას მისთვის დამახასიათებელი ზნეობრივი ნორმები აქვს. რთული დასადგენია შეესაბამება თუ არა კონკრეტული გარიგება ზნეობრივ ნორმებს,მაგრამ მოსმართლე თავადაც საზოგადოების წევრია და მან უნდა გაითვალისწინოს ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მორალური ნორმები, აგრეთვე მას უწევს კონკრეტული სოციალური წრისთვის მნიშვნელოვანი ზნეობრივი წესები. ასეთ დროს მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს,როგორ შეაფასებდა ხალხი ა კონკრეტული სოციალური ჯგუფი ამ გარიგებას. საზოგადოების ცვლილებასტა ერთდა მორალური ფასეულობებიც იცვლება. ქართულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების თანახმად,ხელშეკრულება მაშინ უნდა იქნეს აღიარებული ზნების საწინააღმდეგოდ,როცა ეს იურიდიულად აუცილებელია და ის შეიცავს დარღვევას იურიდიულად მნიშვნელოვანი ინტერესებისა.

გარიგების ბათილობის კიდევ ერთი მიზეზია **საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა**. ქართულ სამართალში ეს ნორმა ფრანგული სამართლიდან შემოვიდა,სადაც ერთმანეთისგა განასხვავებენ **საჯარო წესრიგსა და ეკონომიკურ საჯარო წესრიგს**.პირველს განეკუთვნება ყველა ნორმა,რომელიც არ შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს, ოჯახისა და ინივიდის ძირეულ ინტერესებს. სახელმწიფოს ძირეული ინტერესების დამცავი ნორმების მიზანია სახელმწიფო ორგანოთა,სახელმწიფო მმართველობის აპარატის,საგადასახადო სისტემის,

სასამართლო ხელისუფლებისა და ა.შ. გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ოჯახის ინტერესების დამცავი ნორმების მიზანია ოჯახის არსებობის ფუნდამენტური საფუძვლების არსებობის უზრუნველყოფა და ისეთი მოქმედებების აღკვეთა, რომლებიც ძირს უთხრიან ოჯახის არსებობას. ინდივიდის ინტერესების დაცვის ნორმებს მიეკუთნება ნორმები, რომლებიც ადამიანის პიროვნებას, ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ. მათ მორალური დაცვის ნორმებს უწოდებენ.

რაც შეეხება ეკონომიკურ საჯარო წესრიგის ნორმების როლს, იგი სახელწიფოს ახალ ფუნქციებთანაა დაკავშირებული, რომლებიც მას სოციალურ სახელმწიფოდ აღიარებასთან დაკავშირებით აქვს. სასამართლო ბათილად მიიჩნევს მის საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს.

საჯარო წესრიგის ცნება გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართალში. სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ისეთი უცხოური კანონი, რომელიც არღვევს ან ეწინააღმდეგება მოცემული სახელმწიფოს საჯარო წესრიგს.

16) ა) სამეწარმეო იურიდიული პირები

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კერძო ან საჯარო სამართლის. კერძო სამართლის იურიდიული პირებიორ ნაწილად იყოფა: სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებად.

სამეწარმეო იურიდიულ პირთა სტატუსი განმტკიცებულია კანონში მეწარმეთა შესახებ, სადაც მათი ამომწურავი ჩამონათვალი გვხვდება.

მეწარმეთა კანონის მიხედვით კომერციული იურიდიული პირები ორ დიდ ჯგუფად იყოფა:

პირველი: ამხანაგობის ტიპის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს).

მეორე, **კაპიტალური საზოგადოებები**. მათი შემოღება დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრებასთან.

მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ იურიდიულ პირთა მიმოხილვა ნათელს ხდის მათ თავისებურებებს:

1. სპს- საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორთა წინაშე აგებენ პასუხს, როგორც სოლიდარული მოვალეები-მთელი თავინათი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

2. კს- საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, საზოგადოების კრედიტორთა წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საგრანტო თანხის გადახდით- შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის-სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

კს-ის დაფუძნებისას აუცილებელია მინიმუმ ორი პარტნიორის არსებობა. მათგან ერთ კომანდიტი უნდა იყოს, მეორე კომპლემენტარი.

3. შპს- მისი ლეგალური დეფინიცია ასეთია: საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შემოიფარგლება მისი ქონებით. იგი სამეწარმეო საზოგადოებაა და კაპიტალის გაერთიანების შედეგად იქმნება. შპს-ის პასუხისმგებლობა პარტნიორთა წინაშე შეზღუდულია. მისი არსებობა არ არის დამოკიდებული წევრობაზე, შპს-ს აქვს მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები: პარტნიორთა კრება, დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო. იგი შეიზღუება დააფუძნოს ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, მათ შორის, სახელმწიფომ.

4. სს- სააქციო საზოგადოება. მისი ლეგალური დეფინიცია ასეთია :

საზოგადოება, რომლის კაპიტალი წესდებით დაყოფილი კლასისა და რაოდენობის აქციებად. იგი კაპიტალური საზოგადოებაა და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული წევრთა შეცვლაზე. კრედიტორთა წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავის ქონებით. სს-ის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო

საზოგადოების ვალდებულებებს აქციონერთა წინაშე. ისინი თავისუფლად მონაწილეობენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

5. კოოპერატივი-ის არ არის კლასიკრი კომერციული ორგანიზაცი. მისი ლეგალური დეფინიცია ასეთია : წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისათვის და შემოსვლების გადიდებისათვის შექმნილი საზოგადოება,რომლის ამოცანაც წევრთა ინტერესების დაკმაყოფილებაა და იგი მიმართულია არა უპირატესად მოგების მიღებაზე.

ბ)სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია

(სუბსუმცია, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და მისი შემოწმება)

.....
17)ა)ზოგადი და სპეციალური კანონები და მათი ურთიერთმიმართება

.....
ბ)გარიგების ფორმა

გარიგება არის ცალმხრივი,ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა,რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის,შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

გარიგების ფორმა ძალიან მნიშვნელოვანია,რადგან გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა.

გარიგების ფორმის ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნას ფართო და ვიწრო გაგებით. **ფართო გაგებით** ის გულისხმობს ზეპირ და წერილობით გარიგებებს, ხოლო **ვიწრო გაგებით** იგულისხმება მხოლოს წერილობითი გარიგება.

სსკს 69-ე მუხლის თანახმად გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით.

გარიგების ფორმის მნიშვნელობა ორ ასპექტში ვლინდება: **მსჯელობის გაადვილება და განზრახვის სერიოზულობის დადასტურება.**

გარიგების ფორმაზე საუბრისას მნიშვნელოვანია მისი განხილვა ერთი მხრივ, **გარიგების ერთ-ერთ ატრიბუტად** და მეორე მხრივ **აბსოლუტურ ფორმად**. თუ გარიგების ფორმა მხოლოდ გარიგების ატრიბუტად მოიაზრება, ამან შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. თუმცა თუ იგი აბსოლუტური ფორმის ფუნქციას ასრულებს,მაშინ შედეგიც სხვაგვარი დგება. მაგალითად,თუ

ქორწინება არ არის განხორციელებული კანონით დადგენილი ფორმით, ის იქნება არა ბათილი,არამედ საერთოდ არ აღიქმება ქორწინებად.

გარიგება ყველაზე ხშირად ვლინდება **ზეპირი ფორმით**. ზეპირად შეიძლება დაიდოს ყველა ის გარიგება,რომელთათვისაც არაა აუცილებელი წერილობითი ფორმა. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც ფიზიკურ,ისე იურიდიულ პირებთან. როგორც წესი,ზეპირი გარიგება გამოიყენება მაშინ,როცა იგი დადებისთანავე სრულდება,მიუხედავად გარიგების თანხის ოდენობისა.

წერილობითი გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია მხარეთა ხელმოწერა.

ცამხრივი გარიგებისას საკმარისია ერთი პირის ხელმოწერა, ორმხრივი ან მრავალმხრივისას კი ყველა მხარის ხელმოწერაა საჭირო. ხელმოწერა უნდა განხორციელდეს საკუთარი ხელით და გარკვევით უნდა იყოს მითითებული ხელმომწერის სახელი და გვარი. ხელმოწერა დასაშვებია წარმომადგენლის მეშვეობითაც.ამის მიზეზი შეიძლება იყოს წერა-კითხვის უცოდინრობა,ფიზიკური ნაკლი და ავადმყოფობა. აუცილებელია აღინიშნოს მიზეზი,რის გამოც პირმა ხელი ვერ მოაწერა გარიგებას. ასევე, წარმომადგენლის უფლებამოსილება ოფიციალურად უნდა იყოს დადასტურებული.

წარმომადგენელმა ხელი საკუთარი სახელით უნდა მოაწეროს და არა წარმოდგენილის სახელით. მნიშვნელოვანია,რომ ხელმოწერა უნდა იყოს ტექსტის ბოლოს.

როდესაც გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია ნების გამოვლენის მიღებაზე ადრესატის მიერ, მაშინ აუცილებელია რომ ხელმოწერა შესრულებული იყოს ორიგინალზე ანუ დოკუმენტზე,რომელიც ადრესატამდე მიდის. თუ დოკუმენტი რამდენიმე გვერდიანია ან ახლავს დანართები, უნდა აიკინძოს,დაინომროს და თითოეული გვერდს მოეწეროს ხელი.

რდესაც ხელშეკრულებისთვის წერილობითი ფორმაა გათვალისწინებული,მაშინ მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ერთსა და იმავე დოკუმენტს. მაგრამ თუ ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტია შედგენილი,მაშინ საკმარისია,რომ ყოველმა მხარემ მისთვის განკუთვნილ ეგზემპლარს მოაწეროს ხელი.

აუცილებელი არ არის,რომ ხელმოწერა და დოკუმენტის შედგენა ერთდროულად მოხდეს. არსებობს **ე.წ. ბლანკეტური ხელმოწერის ფორმა**. მის გადაცემას

სამართლებრივ ურთიერთობებში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მინდობილობას.

გარიგების ფორმის თავისუფალი გამოხატულება პრაქტიკულად ზორციელდება, როცა გარიგების მხარეებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ მისი ფორმა. ისინი მას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვრვენ. სსკ იცნობს გარიგების რთულ წერილობით ფორმასაც, რომლისთვისაც მხარეთა ხელმოწერის გარდა საჭიროა ნოტარიულად დამოწმებაც. ერთანეთისგან განსხვავდება **სანოტარო დამოწმება და სანოტარო დადასტურება**. გარიგების დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს მის კანონიერებასა და და შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. დადასტურების დროს კი აფიქსირებს იმ ფაქტს, რომ ხელმოწეა ეკუთვნის ხელმომწერს.

გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელია, ადრესატს ესმოდეს ენა, რომელზეც გარიგება იდება.

სსკ იცნობს შემთხვევებს, როცა გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელია დამატებითი ფორმების დაცვა, კერძოდ, ნების გამოვლენა სპეციალური სახელმწიფო ორგანოს წინაშე. ამის მაგალითია ქორწინება.

ცნობილია გარიგების დადება ინტერნეტის გამოყენებითაც, რასაც **ელექტრონული ვაჭრობა** ეწოდება. აღიარებული შეხედულებების თანახმად, ასეთი ხელშეკრულება სრულად პასუხობს გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ბათილია გარიგება, რომელიც ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. მაგრამ არსებობს გამონაკლისიც, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. თუმცა ეს ხდება მხოლოდ მაშინ თუ კანონი პირდაპირ უთითებს ან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას.

18) ა) შეცდომით დადებული გარიგების ცნება. მოტივში შეცდომის მნიშვნელობა

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

არის შემთხვევები როდესაც გარიგების დადება ხდება შეცდომით. საკითხავია, რა უნდა მოხდეს ამ დროს : უნდა ჩაითვალოს თუ არა გარიგება ნამდვილად? სსკ-ს 72-ე მუხლის თანახმად შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. თუმცა , რა თქმა უნდა, არა ყველა შემთხვევაში. გარიგების საცილობას იწვევს მხოლოდ არსებითი შეცდომა. არსებითი შეცდომები კი შემდეგი სახისაა: **შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში, გარიგების შინაარსში, გარიგების საფუძვლებში, კონტრაქტენტის პიროვნებაში, საგნის ძირითად თვისებებში, უფლებაში, მოტივში.**

შეცდომის ერთ-ერთი სახეა **შეცდომა გარიგების მოტივში**. გარიგების მოტივს განეკუთვნება ისეთი წარმოდგენები, რომლებსაც გარიგების ერთ-ერთი მონაწილე იქმნის სხვა მონაწილეების შესახებ ან გარიგების საგნის თვისებების თაობაზე. თუმცა იგი არსებით სეცდომად ჩაითვლება და გარიგების ბათილობას გამოიწვევს მხოლოდ მაშინ, თუ მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, შემოწირულობა შეგროვდა ლტოლვილთა დასახმარებლად, მაგრამ იგი სხვა მზინით დაიხარჯა.

როგორც წესი, გარიგების მოტივი დაკავშირებულია ან კონტრაქტენტის პიროვნებასთან ან გარიგების საგნის ძირითად თვისებებთან.

შეცდომით დადებული გარიგება ნამდვილია მანამ, სანამ დაინტერესებული პირი არ გახდის სადავოდ. შეცილებასაც ახასიათებს თავისებურებანი: 1) შეცდომა უშუალო მიზეზი უნდა იყოს გარიგების დადებისა და მას ობიექტური წინაპირობები უნდა ჰქონდეს. მაგალითად , თუ პირი ფიროსმანის ნახატს მხოლოდ 500 ლარად ყიდის, ამან ეჭვი უნდა გამოიწვიოს და შესაბამისად ობიექტური საფუძველიც აღარ იარსებებს.

2)თუ მხარე თანახმაა, შეასრულოს შეცდომით დადებული გარიგება ისე , როგორც ეს მეორე მხარეს სურს, მაშინ შეცილება დაუშვებელია.

3)გარიგების ბათილობა დაიშვება მხოლოდ არსებითი შეცდომისას, ხოლო წვრილმანი შეცდომები იძლევა მხოლოდ შეცდომის გამოსწორების უფლებას. შეცდომით დადებული გარიგების შეცილება ცალმხრივი გარიგებაა, მაგრამ ნამდვილობისათვის მეორე მხარის თანხმობას საჭიროებს.

ბ)საცილო და უცილო(არარა), ნაწილობრივ ბათილი და მერყევად ბათილი გარიგებები

გარიგება არის ცალმხრივი,ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

ნამდვილია გარიგება, რომელიც იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას. თუ გარიგებას ასეთი შედეგი არ მოჰყვება, ის მიიჩნევა **ბათილად**. განსხვავდება გარიგების ბათილობის ფორმებიც. გარიგებებს,რომლებიც დადების მომენტიდანვე ბათია და დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს **უცილოდ ბათილი,ანუ არარა გარიგება** ეწოდება.

თუ გარიგება მთლიანობაში ნამდვილია,მარამ მისი ესა თუ ის ნაწილი უვარგისი, მაშინ მას **ნაწილობრივ ბათილი გარიგება ეწოდება**.

თუ გარიგება დადების მომენტში ბათილია,მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი,თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს, **მერყევად ბათილია**.

ბათილი და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება პრაქტიკულად სინონიმებია.

არარა გარიგება ბათილის ყველაზე უფრო მკაცრი ფორმაა.ამ შემთხვევეასი გარიგების შედეგი არ დგება არც დამდები პირების და არც მესამე პირთა მიმართ.იგი ბათილია გარიგებისთანავე და ნამდვილად ვერ აქცევს ვერანაირი ოქმედება.მისი ბათილობისთვის არაა საჭირო შეცილება,ბათილობის მოთხოვნა ან სასამართლოს მიერ ბათილად ცნობა.

აღსანიშნავია ისიც,რომ მართალია გარიგება არარაა,მაგრამ იგი რეაურად განხორციელებული აქტია.შესაბამისად იგი იწვევს შედეგს,თუმცა არა იმ შედეგს რაც სასურველი და დასახული იყო. არსებობს გარიგების “დადასტურება” ,რაც გულისმობს მხარეთა შესაძლებლობას დადონ ახალი გარიგებაიმავე საგანზე. ამ შემთხვევეაში შეცდომის გამოსწორება ხდება,თუმცა ესეც და,ოკიდებულია გარიგების ბათიად ცნობის სამართლებრივ ხასიათზე ანუ იმაზე,თუ რის გამო გახდა გარიგება ბათილი.

არარა გარიგების დადასტურება მხარეთა მიერ, არ იწვევს მის ნამდვილობას.

ზოგჯერ მხარეები გარიგებას სწორად აფორმებენ, მაგრამ მისი რომელიმე ნაწილი არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს **ნაწილობრივ ბათილ გარიგებასთან**.

გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს სხვა ნაწილების ბათილობასაც, თუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე. გარიგების ნაწილობრივ გარიგებაზე რომ ვისაუბროთ, უნდა არსებობდეს ერთიანო გარიგება, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ნაწილების გამოცალკევება ა მათი განხილვა, ასევე იმის დადგენა, თუ რომელი ნაწილია ბათილი და შეუძლია თუ არა მის ბათილობა ს გამიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა.

ნაწილობრივ ბათილი გარიგებების განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა სურვილსაც, მათ შესაძლოა მთლიანად გარიგების ბათილობის სურვილი ჰქონდეთ. მნიშვნელოვანია ნაწილობრივ ბათილ გარიგებათა განმარტება, რადგან ძირითადი საკითხები სწორედ განმარტებისას უნდა დადგინდეს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ნაწილი არ უნდა იწვევდეს მთელი გარიგების ბათილობას.

არსებობს გარიგებები, რომლებიც ბათილია დადების მომენტიდან, მაგრამ დაშვებული შეცდომის ან გარიგების ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია. ასეთ გარიგებას **მერყევად ბათილი** ეწოდება. ასეთი არასრულწლოვანთა მიერ დადებული გარიგებები, ასევე გარიგებები, რომლებიც ნამდვილობისთვის მესამე პირთა ან რომელიმე სახელმწიფო ორგანოს თანხმობას საჭიროებს.

ასეთ შემთხვევებში გარიგება ნამდვილი გახდება, თუ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილია.

არსებობს გარიგებებიც, როლებიც დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცვლების შედეგად ხდება ბათილი, ასეთი **საცილო გარიგებები**. მისი ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, გაასაჩივრებს თუ არა მხარე. შეცვლების გამო იგი ბათილად მიიჩნევა არა შეცვლების, არამედ დადების მომენტიდან. საცილო გარიგების ყველაზე გავრცელებული ფორმაა შეცდომით, მოტყუებითა და იძულებით დადებული გარიგებები.

შეცილება ხორციელდება დაინტერესებული პირის მიერ. შეცილებისთვის აუცილებელი არაა სასამართლოში ან სხვა ორგანოში მიმართვა, საკმარისია მეორე მხარისადმი მიმართვა. შეცილება ცალმხრივი გარიგებაა, რომლის ნადვილობისთვისაც საჭიროა მისი მიღება ადრესატის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაცა, რადგან პირს შეუძლია არ შეეცილოს და ამით გარიგება ნამდვილი დატოვოს.

გარიგების ბათილად აღიარება ნიშნავს იმ სამართლებრივ შედეგთა გაუქმებას, რაც მას მოჰყვა ანუ უნდა ღგეს პირვანდელი მდგომარეობა. არსებობს აგრეთვე ფარდობითად ბათილი გარიგება. იგი მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ კონკრეტული პირის ან პირების მიმართ იურიდიული ძალა არ აქვთ.

თუ ბათილი გარიგება შეესაბამება სხვა გარიგებისთვის გატვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის გაგებისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. ამას ბათილი გარიგების კონვერსია. კონვერსიისათვის აუცილებელია არსებობდეს გარკვეული წინაპირობები. უნდა დაზუსტდეს არსებობს თუ არა ბათილი გარიგება სინამდვილეში, შეიცავს თუ არა იგი სხვა ნამდვილ გარიგებას და სურთ თუ არა მხარეებს ამ გარიგებით გატვალისწინებული შედეგის დადგომა. უმნიშვნელოა, ბათილობის მიზეზი.

19) ა) სახელის უფლება

სახელი პირის იდენტიფიკაციის ძირითადი საშუალებაა. სახელის ტარება პირის მხოლოდ უფლება კი არა მისი მოვალეობაცაა.

სამოქალაქო სამართლით განმტკიცებულ სახელის უფლებას **სამოქალაქო სახელი** ეწოდება, ესაა სახელი რომელსაც ყოველი ადამიანი იყენებს ურთიერთობებში თავის იდენტურობის აღსანიშნავად. იგი განსხვავდება ე.წ. კნინობით-ალერსობითი და ე.წ. მეორე სახელისაგან. იგი შედგება სახელისა და გვარისგან.

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება **იურიდიული პირის სახელწოდება**. მას საფირმო სახელწოდება ჰქვია და იურიდიულ პირთა იდენტიფიკაციის საშუალებაა.

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება ასევე ე.წ. სავაჭრო ანუ კომერციული სახელი, რომელსაც მეწარმეები თავიანთი საწარმოს აღსანიშნავად იყენებენ. მას სამეწარმეო სახელი ანუ ფირმა ეწოდება.

სამოქალაქო სახელის გარდა პირის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა ფსევდონიმი.

თანამედროვე სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი და აბსოლუტური უფლებაა. თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია მას პირად არაქონებრივ უფლებად მიიჩნევს, თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ იგი არაამატერიალური ქონებრივი უფლებაა.

სსკს მე-17 მუხლით განმტკიცებული სახელის უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა.

სახელის უფლების პირად არაქონებრივრებით მაშინ, როცა საქმე ეხება იურიდიულ პირს. მაგალითად, „ლალიძის წყლები“ ყოველთვის დადებით ემოციას იწვევდა, თუმცა თუ ამ სახელით ბაზარზე გამოვა ფალსიფიცირებული პროდუქტი, ამით შეილახება სახელის უფლებაც, რაც სამეწარმეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. ასე რომ ამ შემთხვევაში სახელის უფლება უნდა მივიჩნიოთ არაამატერიალურ ქონებრივ უფლებად.

სამოქალაქო სახელის გასხვისება დაუშვებელია.

ფიზიკური პირის სახელისაგან განსხვავებით დაუშვებელია ორ იურიდიულ პირს ერთი და იგივე სახელი ერქვას.

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემაუნარიანია. ამ დროს სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და განიხილება, როგორც არაამატერიალური ქონებრივი უფლება.

საფირმო სახელის გასხვისება დასაშვებია მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად, რომლის სახელიცაა.

სახელის შეძენის საფუძველი შეიძლება იყოს: დაბადება, ქორწინება, სახელის შეცვლა ნებაყოფლობით.

დაბადებისას ბავშვს მშობლები ურჩევენ სახელს, ხოლო გვარი განისაძღვრება მშობლების საერთო გვარით ან ერთ-ერთი მათგანის გვარით ანდაც მათი გვარების შეერთებით.

ქორწინებისას შესაძლებელია მეუღლეებმა აირჩიონ ერთ-ერთი მათგანის გვარი საერთო გვარად ანდაც შეაერთონ გვარები.

დასაშვებია სახელის ნებაყოფლობით შეცვლაც. ამის უფლება აქვს როგორც სრულწლოვანს, ისე არასრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს მშობლების ან მეურვეების თანხმობა.

სახელის ცვლილება არ იწვევს ქონებრივი ურთიერთობების შეცვლას ან შეწყვეტას. აღსანიშნავია, რომ პირმა უნდა აცნობოს კრედიტორებს სახელის შეცვლის შესახებ.

ბ) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების მიერ დადებული გარიგებები

ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანობა დაკავშირებულია ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან.

სსკ-ს მე-14 მუხლის თანახმად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი. ასევე, სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლო მზრუნველს დაუწესებს. მზრუნველი უწესდებათ ჰკუასუსტებსა და სულით ავადმყოფებს, ასევე შესაძლოა მზრუნველი დაუწესდეს პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს და ამით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აგდებს ოჯახის წევრებს.

აღსანიშნავია, ემანსიპაციის ინსტიტუტიც. ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი უთანაბრდება სრულწლოვანს. ემანსიპაცია დასაშვებია აორ შემთხვევაში: თუ 16 წლის პირი იქორწინებს და თუ 16 წლის პირს მიაღწიონ საწარმოეს მართვას.

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს გარიგების დადება შეუძლია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობით. მაგრამ არსებობს გამოკლისებიც.

თუ გარიგება პირისათვის სარგებლის მომტანია, მაშინ მას შეუძლია იგი დადოს კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობის გარეშე. სარგებლის მომტანად ითვლება ჩუქება და უპატრონო ნივთზე დაუფლება. ორმხრივი გარიგებები არ ითვლება სარგებლის მომტანად, რადგან მას უფლებებთან ერთად მოაქვს მოვალეობებიც.

ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს შეუძლია გარიგება დადოს, თუ ამისათვის განკარგავს იმ საშუალებებს რაც მას მისცემს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან მათი თანხმობით მესამე პირებმა ამ მიზნით ან თავისუფალი განკარგვისთვის.

ყველა სხვა გარიგება, რომელსაც დებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი მიიჩნევა მერყევად ბათილად და დამოკიდებულია კანონიერ წარმომადგენელთა მოწონებაზე. თუ ისინი მოიწონებენ გარიგება გახდება ნამდვილი.

მერყევად ბათილ გარიგებაზე უარის თქმის უფლება აქვს მეორე მხარეს. მას ამის უფლება აქვს მაშინაც, თუ იცოდა პირის არასრულწლოვნების შესახებ, მაგრამ ის ატყუებდა, რომ მიღებული ჰქონდა თანხმობა კანონიერი წარმომადგენლებისგან.

20) ა) არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნება და რეგისტრაცია

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთრების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც პასუხს აგებს თავის ქონებით და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კერძო ან საჯარო სამართლის. კერძო სამართლის იურიდიული პირებიორ ნაწილად იყოფა: სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებად.

ყველა ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც არასამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიული პირის - ა(ა)იპ-ის ყალიბდება. ეს ორგანიზაციები შეიძლება იყოს წევრობაზე დაფუძნებული ან ქონების გაერთიანების საფუძველზე შემნილი. არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც. მისი დაფუძნებისათვის აუციელებელია წერილობითი სადამფუძნებლო დოკუმენტის არსებობა, დოკუმენტში აღნიშნული უნდა იყოს:

1. სახელწოდება- მისი შემადგენელი ნაწილია

„არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი“. დაუშვებელია სხვა იურიდიულ პირთათვის დამახასიათებელი აღნიშვნებისა და უკვე არსებული იურიდიული პირის სახელწოდების გამოყენება.

2. იურიდიული მისამართი- შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მისამართი.

მისამართად ითვლება ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. ყველა სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება ფილვალების მისამართად.

3. საქმიანობის მიზანი.

4. პირადი მონაცემები და მონაცემები იურიდიული პირის ორგანოების

შესახებ.- მონაცემები ა(ა)იპ-ის დამფუძნებლების, ხელმძღვანელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ. ასევე წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესს, იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელებას, გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას.

5. სადამფუძნებლო დოკუმენტის ფორმა- ის უნდა გაფორმდეს

წერილობით. მნიშვნელოვანია ნოტარიულად დამოწმებაც, არასაც პრევენციული ფუნქცია აქვს.

ა(ა)იპ-ის რეგისტრაციად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაცია. გააღწვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის ოფიციალური მხარისათვის გაცნობის ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების განთავსება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე, ასევე, რეგისტრაციას ექვემდებარება სარეგისტრაციო მონაცემთა ყოველგვარი ცვლილება. რეგისტრაციის ვალდებულება ვრცელდება ფილვალებზეც.

სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარებ აა(ა)იპ-ის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესი, გაკოტრების ან რეაბილიტაციის, საქმის წარმოების დაწყება ან შეწყვეტა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის მონაცემები საჯაროა. საჯაროობა ნიშნავს იმასაც, რომ მისი მონაცემები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. რეესტრში ჩაწერილი მონაცემები მიიჩნევა სწორად და სრულყოფილად ვიდრე მათი უზუსტობა არ იქნება ოფიციალურად დაგენილი.

სსკ რეგისტრაციის გაუქმების რამდენიმე საფუძველ ითვალისწინებს:

1. სასამართლო გადაწყვეტილება

2. ლიკვიდაცია

3. სარეგისტრაციო მონაცემთა ხარვეზი

ბ) პირობითი გარიგებები

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

ზოგჯერ მხარეები მაშინვე არ იწყებენ გარიგების პრობების შესრულებას და მას გარკვეული გარემოებების დადგომას უკავშირებენ. ასეთ გარიგებებს **პირობითი** ეწოდება. პირობითია გარიგება, როცა იგი დამოკიდებულია **სამომავლო და უცნობ მოვლენაზე** იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადაგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა-ამ მოვლენის

დადგომისთანავე. გარიგების შედეგის დადგომა შეიძლება რამდენიმე პირობაზე იყოს დამოკიდებული. ეს პირობები შეიძლება იყოს როგორც კუმულატიური, ისე ალტერნატიული. კუმულატიური ს დროს ყველა პირობის შესრულება

სავალდებულოა, ალტერნატიულისას ერთერთის.

როგორც აღვნიშნეთ, გარიგება პირობითია თუ დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე ანუ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით რეალურად დადგება თუ არა.

სსკ განასხვავებს გადადების ანუ სუსპენსიურ და რეზოლუტიურ

პირობებს. გადადება გარიგების პირობითაა დადებული, თუ გარიგებით

გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები დამოკიდებულია მომავალ და უცნობ მოვლენაზე ანუ გარიგების შესრულება გადაიდება პირობის დადგომამდე. პირობით დადებულად მიიჩნევა გარიგებაც,რომელიც უკვე დამდგარ მოვლენას უკავშირდება,მაგრამ მხარეებმა არ იციან ამის შესახებ.

გაუქმების პირობით დადებულად მიიჩნევა გარიგება,როცა ამ პირობების დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას.ასეთი გარიგების შედეგი დადებისთანავე დგება,მაგრამ პირობის დადებისთანავე უქმდება.

გარიგების შედეგის დადგომის განმსაზღვრელი პირობა შეიძლება ფორმულირებული იყოს **პოზიტიურად ან ნეგატიურად**.პოზიტიურია,თუ გარიგების შედეგი დამოკიდებულია პირობის დადგომაზე,ხოლო ნეგატიურია თუ შედეგის დადგომა დამოკიდებულია პირობის არ დადგომაზე.

შინაარსის მიხედვით გარიგება შეიძლება იყოს **კაზუალური და პოტესტატური**. **კაზუალურია**,როცა მისი არსებობა დამოკიდებულია შემთხვევით მოვლენაზე. პოტესტატურია პირობის დადგომა,თუ იგი გამოიხატება ერთ-ერთი მხარის მოქმედებაში.

გარიგების პირობისგან განსხვავდება **წინაპირობა**.ეს ის შემთხვევაა,როცა გარიგების შედეგი დამოკიდებულია წარსულში ან აწმყო დროში არსებულ მოვლენაზე.

თუ გარიგების საფუძვლად არსებული პირობა ბათილია,გარიგებაც ბათილია.პირობის ბათილობის საფუძველი შეიძლება იყოს მისი კანონსაწინააღმდეგობა, ამორალურობა ან შესრულების შეუძლებლობა. პირობით შეიძლება დაიდოს თითქმის ყველა გარიგება. მის მიმართ გამოიყენება ყველა ის წესი,რაც ჩვეულებრივი გარიგებისის მიმართ. თუმცა არსებობს გარიგებები,რომელთა პირობით დადებაც არ შეიძლება.ასეთი აკრძალვა პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან ან გარიგების ბუნებიდან.

გარიგების ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს მის საფუძვლად ბათილი პირობის არსებობამ ან ნამდვილ გარიგებაში დამატებით ბათილი პირობის შეტანამ.

პირობითი გარიგებები შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ ვადასთან. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით,რომ რაიმე მოვლენა დადგება

განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუ ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა. იგივე შედეგია, თუ აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია. ორივე შემთხვევა ვადიანი პოზოტიური პირობების მაგალითია.

არსებობს ვადიანი ნეგატიური პირობებიც. ეს ხდება მაშინ, როცა გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იმაზე, რომ მოვლენა არ დადგეს განსაზღვრულ დროში.

21) ა) საცხოვრებელი ადგილის ცნება

საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა. სსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის ადგილი, რომელსაც პირი, ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. ასეთად მიიჩნევა პირის უმთავრესი ადგილსამყოფელი, ამასთანავე თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ პირი იქ დროებით არ იმყოფება. ერთ ადგილას ექვსი თვის განმავლობაში ყოფნის შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმცია, რომ ისაა პირის საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელ ადგილად მიჩნევის ათვის საჭიროა პირის ფაქტობრივი ცხოვრება იქ და მისი ნება, იქ ცხოვრებისა. ანუ საცხოვრებელი ადგილი არის ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს და მას ძირითად ადგილსამყოფლად ირჩევს.

საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს კი აქვს მისმართი ანუ ადგილსამყოფელი.

შეიძლება პირის საცხოვრებელი ადგილი და სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ემთხვეოდეს.

საცხოვრებელ ადგლს პირი ირჩევს თავისუფლად და მასზე გავლენას არ ახდეს რეგისტრაცია.

პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ აწერილი იყოს მხოლოდ ერთგან.

არსებობს კანონით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილიც. ეს შემთხვევა გამოიყენება არასრულწლოვნების, ჰკუთასუსტებისა და სულით ავადმყოფების მიმართ. არასრულწლოვნების საცხოვრებელ ადგილად კანონით მიიჩნევა მათი

მშობლების სახლი. სამეურვეო პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მეურვის საცხოვრებელი.

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: პირის ნება, მიანებოს თავი ამ საცხოვრებელ ადგილს და ამის პრაქტიკული განხორციელება. ასევე ის შეიძლება გაუქმდეს ახალი საცხოვრებელი ადგილის შეძენით, თუმცა ეს ავტომატურად არ ხდება და აუცილებელია პირის ნება.

საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება ომის, სამოქალაქო ომის ან სხვა მსგავსი გარემოებების გამო პირი იძულებულია დატოვოს ადგილი.

საცხოვრებელი ადგილი გასაზღვრავს:

1. პირის გამოცხადება უგზო-უკვლოდ და კარგულად-მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე არ გამოჩენილა საცხოვრებელ ადგილად.
2. პირის გამოცხადება გარდაცვლილად-ხუთი წლის მანძილზე არ გამოჩენილა საცხოვრებელ ადგილად.
3. ზელშეკრულების ცალკეული დებულების გამნარტებისას თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი.
4. ვალდებულების შესრულების ადგილი
5. კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით გამოწვეული ხარჯების ანაზღურება.
6. ფულადი ვალდებულებების შესრულების ადგილი
7. სამკვიდროს გახსნის ადგილი.

ბ) თანხმობა გარიგებებში

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

ზოგიერთი გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ გარიგების მონაწილეთა მიერ ნების გამოვლენა და საჭიროებს მესამე პირების თანხმობასაც. დღეს დიდია იმ გარიგებათა რიცხვი, რომლებიც საჭიროებენ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოთა თანხმობას.

თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით.

მართალია თანხმობა გარიგების დადების წინაპირობაა, მაგრამ ამავდროულად ის თავადაც გარიგებას წარმოადგენს ანუ იგი ერთდროულად გარიგებაცაა და დამხმარე საშუალებაც.

თანხმობას, როგორც დამოუკიდებელ გარიგებას, საფუძვლად უდევს ნების გამოვლენა. იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიმართ. ნების გამოვლენა უნდა შეესაბამებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რაც გარიგების ნამდვილობისთვისაა საჭირო. იგი ცალმხრივი გარიგებაა, მაგრამ აუცილებლად საჭიროებს მეორე მხარის მიერ მიღებას. ას არ სჭირდება გარიგებისთვის დადგენილი ფორმის დაცვა, ეს კიდეც ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ თანხმობა დამოუკიდებელი გარიგებაა და არა იმ გარიგების ნაწილი, რომლის ნამდვილობის წინაპირობასაც წარმოადგენს.

თანხმობის გამოყენება ყველა გარიგების მიმართ არაა შესაძლებელი. თანხმობაზე დამოკიდებული გარიგე შეიძლება იყოს ცალმხრივიც, ორმხრივიც და მრავალმხრივიც. განსაკუთრებით გაზრდილია იმ გარიგებათა რიცხვი, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა თანხმობაზე. სახელმწიფოს მხრიდან თანხმობა არმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, თუმცა მის მიმართ გამოიყენება სსკს ნორმები, რადგან იგი აწესრიგებს კერძო სამართლებრივ ურთიერთობას.

თანხმობის ორი ძირითადი სახე არსებობს. წინასწარ გაცემული თანხმობა ანუ **ნებართვა** და შემდგომი თანხმობა ანუ **მოწონება**. ანუ თანხმობის მიღება შეიძლება გარიგების დადებამდეც და მის შემდეგაც. ორივე მათგანი ერთნაირ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს - გარიგები ნამდვილობას ან ბათილობას. **ნებართვა**, როგორც უკვე აღინიშნა, წინასწარ მიცემული თანხმობაა. იგი ჰგავს მინდობილობას და და ხშირად მისი ფორმითც ვლინდება. მინდობილობის გამცემი პირი წარმომადგენელს აძლევს ნებართვას, რომ განახორციელოს ესა თუ ის მოქმედება. თუ ნებართვა გაცემულია გარკვეული ვადით, იგი ვადის გასვლისთანავე წყდება. თუ მას საფუძვლად უდევს რაიმე ურთიერთობა, მაშინ ამ ურთიერთობის შეწყვეტა მის გაუქმებასაც იწვევს.

ნებართვის გაცემაც და გაუქმებაც ცალმხრივი გარიგებაა. მისი ნამდვილობისთვის საჭიროა მეორე მხარის მიერ მიღება. ნებართვის გამაუმჯობესებელმა პირმა გაუქმების

შესახებ უნდა აცნობოს ორივე მხარეს ანუ არა მხოლოდ იმას,ვისთვისაც ნებართვა უნდა მიეცა,არამედ იმასაც, ვისთანც უნდა დადებულიყო გარიგება.

გარიგების დადების შემდეგ განხორციელებულ თანხმობას **მოწონება** ჰქვია.მას უკუქცევითი ძალა აქვს ე.ი. ნამდვილი ხდება არა მოწონების გაცემის მომენტიდან,არამედ იმ მომენტიდან როცა გარიგება დაიდო. მათ შეიძლება მერყევად ბათილი გარიგებებიც ეწოდოს. უკუქცევითობა მნიშვნელოვანი თავისებურებაა,რადგან ის ნაკლი,რაც გარიგებას ჰქონდა,მოწონების შედეგად სწორდება და სამართალი მას თავიდანვე არარსებულად მიიჩნევს.აღსანიშნავია ისიც,რომ მოწონებას უკუქცევითი ძალა შეიძლება არ ჰქონდეს მაშინ,როცა კანონი განსაზღვრავს,რომ დადებული გარიგების შემდეგ განხორციელებულ მოწონებას არა აქვს იურიდიული ძალა.

მოწონება შეიძლება განხორციელდეს მანამ,ვიდრე არსებობს ის გარიგება,რომლისთვის გათვალისწინებული იყო ეს მოწონება.

ზოგჯერ განკარგვა ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიერ.მას ამისთვის სჭირდება უფლებამოსილი პირის ნებართვა.არაუფლებამოსილ პირში იგულისხება როგორც ის პირი,რომელსაც არ აქვს უფლება მოცემულ ნივთსა თუ უფლებაზე,ასევე პირი,რომელსაც აქვს მასზე უფლება,მაგრამ მისი განკარგვა მესამე პირთა თანხმობასაც მოითხოვს.

თანხმობის ინსტიტუტი არაუფლებამოსილი პირების მიერ განკარგვისას ემსგავსება წარმომადგენლობის ინსტიტუტს,მაგრამ წარმომადგენლობის ინსტიტუტი უფრო ფართოა.